

შპს მეტალ ქონსტრაქშენ ჯორჯია

წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერი

21/1581

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია:

ფინანსური მდგომარეობის შესახებ წინასწარი სპეციალური ანგარიშგება	1
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის შესახებ წინასწარი სპეციალური ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილებების შესახებ წინასწარი სპეციალური ანგარიშგება	3
ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ წინასწარი სპეციალური ანგარიშგება	4

შენიშვნები წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციისთვის

1	კომპანია და მისი ოპერაციები	
2	კომპანიის საოპერაციო გარემო	
3	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	
4	კრიტიკული საბუღალტრო გაანგარიშებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	
5	სიახლეები საბუღალტრო აღრიცხვაში	10
6	ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	18
7	ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა	19
8	სასაქონლო-მატერიალური აქტივები	20
9	სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	20
10	ფულადი სახსრები და ფულის ეკვივალენტები	20
11	გაცემული სესხები	20
12	საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების შეჯერება	
13	სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	22
14	მომხმარებლებთან ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი აქტივები და ვალდებულებები	22
15	შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	
16	გაყიდვების ფასი	23
17	ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	23
18	გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები	
19	ფინანსური რისკის მართვა	
20	კაპიტალის მართვა	
21	სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება	
22	ფინანსური ინსტრუმენტების პრეზენტაცია გაზომვის კატეგორიით	
23	მოვლენები ანგარიშგების პერიოდის შემდეგ	

21/155

შპს „მეტალ ქონსტრაქშენ ჯორჯიას“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას:

ჩვენი დასკვნა:

ჩვენი აზრით, შპს „მეტალ ქონსტრაქშენ ჯორჯიას“ („კომპანია“) წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია (შემდგომში „ფინანსური ინფორმაცია“), 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, მომზადებულია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის შენიშვნა 3-ში მოცემული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების გათვალისწინებით და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

რისი აუდიტი ჩავატარეთ

კომპანიის წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მოიცავს შემდეგს:

- ფინანსური მდგომარეობის შესახებ წინასწარი სპეციალური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის შესახებ წინასწარი სპეციალური ანგარიშგება მითითებულ თარიღს დასრულებული წლისთვის;
- კაპიტალში ცვლილებების შესახებ წინასწარი სპეციალური ანგარიშგება მითითებულ თარიღს დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ წინასწარი სპეციალური ანგარიშგება მითითებულ თარიღს დასრულებული წლისთვის; და
- წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები, რომლებიც მოიცავს მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკებს და სხვა განმარტებებს.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი მოვალეობები დამატებით აღწერილია ჩვენი ანგარიშის ნაწილში „აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისთვის“.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებელნი ვართ კომპანიისგან პროფესიონალი ბუღალტრებისთვის ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გაცემული პროფესიონალი ბუღალტრების ბუღალტერთა ეთიკისკოდექსის (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) თანახმად. ჩვენ შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური მოვალეობები დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მნიშვნელოვანი პარაგრაფი - საბუღალტრო აღრიცხვის საფუძველი და გადანაწილებისა და გამოყენების შეზღუდვა
გვესურს ყურადღება მივაქციოთ წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მე-3 შენიშვნას, რომელიც განმარტავს საბუღალტრო აღრიცხვის საფუძველებს. მე-3 შენიშვნა მოიცავს კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკას, რომელიც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (IFRS) ეფუძნება, რომელიც გამოიყენება IFRS 1-ის საფუძველზე „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველადი გამოყენება“. მე-3 შენიშვნა აგრეთვე აღწერს ვარაუდების მართვას, რომელიც გაკეთებულია სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შესახებ, რომელთა ამოქმედებაც მოსალოდნელია და პოლიტიკის შესახებ, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია, როცა კომპანია მოამზადებს IFRS-ის ფინანსური ანგარიშგების პირველ სრულ კომპლექტს 2022 წლის 31 დეკემბრისთვის.

ჩვენი აუდიტი

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ მე 3 შენიშვნა ხსნის, თუ რატომ არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ თანხლები წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციას შესაძლოა დასჭირდეს შესწორება, სანამ საბოლოო შედარებადი ინფორმაციის სახით არ იქნება წარმოდგენილი კომპანიის IFRS-ის ფინანსური ანგარიშგების პირველ სრულ კომპლექტში 2022 წლის 31 დეკემბრისთვის. უფრო მეტიც, ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაცია წინა პერიოდთან დაკავშირებით შედარებადი ინფორმაციის გარეშე, არ წარმოადგენს IFRS-ის შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს.

ჩვენი ანგარიში გამოიხსნა მხოლოდ საინფორმაციო მიზნით და შპს მეთალ ქონსთრაქშენ ჯორჯიას ხელმძღვანელობის მიერ გამოსაყენებლად, კომპანიის ფინანსური ანგარიშგების IFRS-ად გარდაქმნასთან დაკავშირებით. დაუშვებელია ნებისმიერი სხვა მიზნით მისი გამოყენება ან სხვა მხარეებისთვის გადაცემა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქართველოს კანონმდებლობით არის მოთხოვნილი. ჩვენი შეხედულება ამ საკითხებთან დაკავშირებით არ არის შეცვლილი.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე, სხვა ინფორმაცია მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ინფორმაციას და ჩვენი აუდიტორის დასკვნას მათ შესახებ). ჩვენი დასკვნა ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით არ ეხება ხელმძღვანელობის ანგარიშს.

ფინანსურ ინფორმაციის ჩვენს აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი მოვალეობაა ხელმძღვანელობის ანგარიშის წაკითხვა და იმის განხილვა, ხელმძღვანელობის ანგარიში არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ინფორმაციასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან ან არის თუ არა სხვაგვარად არსებითად არასწორად წარმოდგენილი. თუ ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიშში არსებითი ცდომილებაა, ვალდებულნი ვართ ვაცნობოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს შესატყობინებელი

გარდა ამისა, "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით ჩვენ მოგვეთხოვება აზრის გამოთქმა იმის თაობაზე, შეესაბამება თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიშის გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და იმის განხილვა, შეიცავს თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიში "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით, ჩვენი აზრით:

- ხელმძღვანელობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, როცა მომზადდა ფინანსური ინფორმაცია, შესაბამისობაშია ფინანსურ ინფორმაციასთან;
- ხელმძღვანელობის ანგარიში შეიცავს ინფორმაციას, რომელიც პასუხობს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე 7 მუხლის მე 6 პარაგრაფის მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობისა და მართვაზე პასუხისმგებელი პირების მოვალეობები ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ინფორმაციის მომზადებაზე შენიშვნა 3-ში მოცემული პრინციპების გათვალისწინებით, როგორც კომპანიის ფასს ზე გადასვლის ნაწილი და შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ ჩათვლის ფინანსური ინფორმაციის მომზადების უზრუნველსაყოფად, რომლებიც არ შეიცავს არსებით არასაარწმუნო მონაცემებს არაკეთილსინდისიერი ქმედებების ან შეცდომების შედეგად.

ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს კომპანიის უნარი - განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ, საჭიროებისამებრ მოქმედ საწარმოსთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებით და მოქმედი საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპის გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხელმძღვანელობა გეგმავს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას ან არ გააჩნია სხვა რეალისტური ალტერნატივა, გარდა აღნიშნულისა.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

21/15/2022

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ინფორმაციის აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ინფორმაცია მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მხოლოდინი იმისა, რომ ცალ ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მიგმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ინფორმაციაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოეთქვას კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ გამოვავაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებული ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებზე. ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

შპს „ფრანსუოთერკაუსკუპერს საქართველოს“ სახელით (რეგ.# SARAS-F-775813)

შპს „ფრანსუოთერკაუსკუპერს საქართველოს“ სახელით (რეგ.# SARAS-F-775813)
ლაშა ჯანელიძე (რეგ.#SARAS A 562091)

2022 წლის 27
დეკემბერი
თბილისი,
საქართველო

21/135

შპს მეტალ ქონსტრაქშენ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის წინასწარი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2021	1 იანვარი, 2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა და არამატერიალური აქტივები	7	2,602,852 15,988	2,890,809 22,604
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,618,840	2,913,413
მიმდინარე აქტივები			
მატერიალურ-საწარმოო მარაგები	8	8,337,653	4,095,967
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	6,652,511	1,220,528
კონტრაქტის აქტივები	14	10,244,283	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	39,009,803	38,509,407
სულ მიმდინარე აქტივები		64,244,250	43,825,902
სულ აქტივები		66,863,090	46,739,315
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი დეფიციტი)		63,866,353	(3,314,179)
სულ კაპიტალი		63,866,353	(3,314,179)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	11	2,713,489	7,177,379
სახელშეკრულებო ვალდებულებები	14	27,166	42,734,186
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	13	256,082	141,929
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,996,737	50,053,494
სულ ვალდებულებები		2,996,737	50,053,494
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		66,863,090	46,739,315

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია 2022 წლის 27 დეკემბერს.

გიორგი მწითური
დირექტორი

მე-5-დან 28-მდე გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის განუყოფელ ნაწილს. 1

მი 15.12.21

შპს მეტალ ქონსტრუქციონი გორჯია

წინასწარი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის შესახებ

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	შენიშვნა	2021
შემოსავალი მომხმარებლებთან ხელშეკრულებებიდან	15	180,259,982
გაყიდვების ღირებულება	16	(111,188,900)
საერთო მოგება		69,071,082
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(1,333,427)
სხვა დანაკარგები, წმინდა		(485,123)
საოპერაციო მოგება		67,252,532
ფინანსური ხარჯები	12	(72,000)
მოგება საშემოსავლო გადასახადამდე		67,180,532
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი		
მოგება წლის განმავლობაში		67,180,532
სხვა სრული შემოსავალი		
სხვა სრული წლიური შემოსავალი		67,180,532

ნი 135

შპს მეტალ ქონსტრუქშენ ჯორჯია
კაპიტალში ცვლილებების წინასწარი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	(დაგროვილი დეფიციტი) / გაუნაწილებელი მოგება	სულ
<i>თანხები მოცემულია ქართულ ლარში</i>			
ბალანსი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	(3,314,179)	(3,314,179)
მოგება წლის მანძილზე	-	67,180,532	67,180,532
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	63,866,353	63,866,353
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	63,866,353	63,866,353

21/15

შპს მეტალ ქონსტრუქშენ ჯორჯია

შენიშვნები წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციისთვის - 2021 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ქართულ ლარში

შენიშვნა

2021

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

მოგება საშემოსავლო გადასახადამდე

67,180,532

კორექტირებები:

ძირითადი საშუალებების ცვეთა და გაუფასურება

259,826

სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია და გაუფასურება

6,616

ზარალი მოგების გარეშე ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან

(422,588)

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურება

330,408

ფინანსური ხარჯები

72,000

სავალუტო კურსის სხვაობები

884,755

ფულადი ნაკადები ოპერაციული საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალში

68,311,549

ცვლილებების განხორციელებამდე

სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებები

(5,662,937)

კონტრაქტის აქტივები

(10,244,283)

ინვენტარები

(4,241,686)

სავაჭრო და სხვა გადასახდელები

1,968,614

სახელმწიფო ვალდებულებები

(42,707,020)

ცვლილებები სამუშაო კაპიტალში

(60,887,312)

წმინდა ფულადი სახსრები მიღებული ოპერაციული საქმიანობიდან

7,424,237

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

ქონების, მოწყობილობების და აღჭურვილობის შეძენა

7

(568,116)

შემოსავალი ქონების, მოწყობილობების და აღჭურვილობის

1,018,835

გაყიდვიდან

წმინდა ნაღდი ფული საინვესტიციო საქმიანობიდან

450,719

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

სესხების დაფარვა

(4,462,693)

წმინდა ნაღდი ფული, რომელიც გამოიყენება საფინანსო საქმიანობაში

(4,462,693)

გაცვლითი კურსის ცვლილების ზეგავლენა ფულსა და ფულადი

სახსრების ეკვივალენტებზე

(2,911,867)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში

0

38,509,407

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს

0

39,009,803

Handwritten signature or mark.

შპს მეტალ ქონსტრუქშენ ჯორჯია

შენიშვნები წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციისთვის - 2021 წლის 31 დეკემბერი

1 კომპანია და მისი ოპერაციები

მოცემული წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადდა იმ მიზნით, რომ დახმარება გაუწიოს შპს მეტალ ქონსტრუქშენ ჯორჯიას („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე („ფასს“) გადასვლაში.

კომპანია დაარსდა 2016 წლის 29 დეკემბერს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც შექმნილია საქართველოს რეგულაციების შესაბამისად და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 416331491.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის 100% იანი მფლობელია Zeus Property Holdings Ltd - კომპანია, რომელიც დაფუძნებულია სეიშელის რესპუბლიკაში. Zeus Property Holdings Ltd ს საბოლოოდ აკონტროლებდა სამხრეთ აფრიკის მოქალაქე, მონიკა პამელა ვან ზილ (Monica Pamela Van Zyl) 2021 წლის 1 თებერვლამდე. 2021 წლის 1 თებერვლიდან კომპანიას საბოლოოდ აკონტროლებს შარლოტ დოროთი ვან ჰეერდენი (Charlotte Dorothy Van Heerden), სამხრეთ აფრიკის მოქალაქე.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი ბიზნესი საქმიანობა შედგება სამი მთავარი მიმართულებისგან: სხვადასხვა სახის ლითონის ნაწარმისა და კონსტრუქციების დემონტაჟი და რეალიზაცია; საწარმოო ობიექტების მშენებლობა და აწყობა და ფეროშენადნობთა პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია. 2021 წლიდან კომპანიამ დაიწყო ფართომასშტაბიანი პროექტი ყაზახეთში, სადაც ააშენა და ექსპლუატაციაში გაუშვა ავლომერადიის ქარხანა და ფეროშენადნობთა ქარხანა. 2022 წელს კომპანიამ შეიძინა ფეროშენადნობთა ქარხანა თბილისში, ორხევის რაიონში და დაიწყო მანგანუმის ფეროშენადნობი პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია (შენიშვნა 23). 2021 წლის განმავლობაში კომპანია ოპერირებდა საქართველოში და ყაზახეთში.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი, გაგარინის ქუჩა N1.

ანგარიშგების წარმოდგენის ვალუტა. მოცემული წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციაში მითითებული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში („GEL“), თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი ბიზნესი საქმიანობა საქართველოს ფარგლებში ხორციელდება. საქართველოში აღინიშნება განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლები, მათ შორის, შედარებით მაღალი ინფლაცია და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდის ხშირ ცვლილებებს. საქართველოს აქვს შედარებით სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა და ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა დაბალი გადასახადებითა და რეგულაციებით. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება დიდწილად არის დამოკიდებული მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე - საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად.

2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ოფიციალურად გამოაცხადა Covid-19 პანდემია. პანდემიის გავლენის შეზღუდვის მიზნით, საქართველოს მთავრობამ გაატარა შესაბამისი ზომები და დააწესა გარკვეული შეზღუდვები, როგორცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენებზე შეზღუდვები და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. ამ ზომებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესზე, მათ შორის, კომპანიის საქმიანობაზე. ზოგიერთი შემთავლიანი ზომა შემდგომში შემსუბუქდა. კომპანიის მენეჯმენტმა მიიღო შესაბამისი ზომები, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს პანდემიის ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

2021 წელს საქართველოს ეკონომიკამ დადებითი დინამიკა აჩვენა პანდემიისგან აღდგენაში. ამ ტენდენციას ასევე დაუჭირა მხარი გლობალური ეკონომიკის აღდგენამ და გლობალურ სასაქონლო ბაზრებზე ფასების ზრდამ. თუმცა, საქართველოში და გლობალურ ბაზარზე გარკვეულ ბაზრებზე მაღალი ფასები ასევე ხელს უწყობს საქართველოში ინფლაციას.

მენეჯმენტს არ შეუძლია განჭვრიტოს ყველა ის მოვლენა, რომელსაც შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მათ კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი თვლის, რომ ის იღებს ყველა საჭირო ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

იხილეთ შენიშვნა 23 უახლესი სამუშაო გარემოს შემდგომი განახლებისთვის.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

მომზადების საფუძველი. წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადდა 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, როგორც კომპანიის მიერ ფასს ის მიღების ნაწილი ფასს 1-ის მოთხოვნების შესაბამისად: „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველადი მიღება“. ეს წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ისტორიული ღირებულების კონვენციის მოთხოვნების გათვალისწინებით. კომპანიის მიერ ფასს ზე გადასვლის თარიღი არის 2021 წლის 1 იანვარი. წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია არ შეიცავს შედარებით ინფორმაციას გარდამავალ თარიღამდე პერიოდებისთვის.

წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია გამიზნულია კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული ფასს ფინანსური ანგარიშგების პირველი სრული ნაკრების შედარებით ინფორმაციის შესაქმნელად. შესაბამისად, ეს წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია არ განიხილება, როგორც კომპანიის ანგარიშგების ფასს ფინანსური ანგარიშგების სრული ნაკრები.

როგორც ფასს 1-ით მოითხოვება, ეს წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ფასს ის საფუძველზე, რომელიც სავარაუდოდ გამოყენებული იქნება 2022 წლის 31 დეკემბერს. თუმცა, ფასს ექვემდებარება მიმდინარე განხილვას ან შესაძლო ცვლილებას ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) და ფასს ინტერპრეტაციების კომიტეტის (IFRS IC) მხრიდან და, შესაბამისად, შესაძლოა, კვლავ შევიდეს მასში ცვლილება. ფასს ის წინასწარი ფინანსური ინფორმაცია განახლებად და ხელახლა იქნება ფორმულირებული ამგვარი ცვლილებების საქიროებისას თუ აღნიშნულს ექნება ადგილი, და ეს მოხდება მანამ, სანამ შედგენილ საბოლოო შედარებით ინფორმაცია კომპანიის ფასს ფინანსურ ანგარიშგების პირველ სრულ კომპლექტში 2022 წლის 31 დეკემბრისთვის.

ამ წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადება ფასს ის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო გაანგარიშებების გამოყენებას. ის აგრეთვე მოითხოვს, რომ ხელმძღვანელობამ მიმართოს საკუთარ შეფასებას ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. უფრო მაღალი ხარისხის შეფასების ან სირთულის სფეროები, ან სფეროები, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ფასს-ის პირველადი მიღება. ფასს ზე გადასვლის თარიღამდე კომპანიას არ მოეთხოვებოდა რაიმე ფინანსური ანგარიშგების მომზადება და, შესაბამისად, წარსულში მას არ მოუწიადა ფინანსური ანგარიშგება. ამიტომ, შეჯერება და ახსნა იმისა, თუ როგორ იმოქმედა წინა სააღრიცხვო ჩარჩოდან ფასს ზე გადასვლამ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ მარჯვენებზე და ფულადი სახსრების ნაკადებზე, არ არის წარმოდგენილი ამ წინასწარ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში. ფასს ზე გადასვლამდე კომპანია აწარმოებდა ჩანაწერებს იმ პოლიტიკის გამოყენებით, რომელიც გარკვეულწილად ეფუძნებოდა საგადასახადო რეგულაციას.

ფასს 1 მოითხოვს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენას ფასს ზე გადასვლის თარიღისთვის და მოიცავს გარკვეულ სავალდებულო გამონაკლისს და არჩევით გამონაკლისებს ფასს ის რეტროსპექტული გამოყენებისგან. ამ წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

უცხოური ვალუტის გადაყვანა. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია საქმიანობს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („ლარი“).

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში გადაყვანილ იქნება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსით. სავალუტო მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ტრანზაქციების ანგარიშსწორებით და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოს დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარებულია სპეციალური დანიშნულების წინასწარ ანგარიშგებაში და სხვა ყოვლისმომცველ ანგარიშში. სავალუტო მოგება და ზარალი წარმოდგენილია მოგება ზარალის წინასწარი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებაში და სხვა სრული შემოსავლის სახით, როგორც „სავალუტო მოგება, წმინდა“. წლის ბოლო განაკვეთებით გადაყვანა არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც ფასდება ისტორიული ღირებულებით სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები უცხოურ ვალუტაში, მათ შორის კაპიტალის ინვესტიციები, გადაირიცხება სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღის დროს მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით. გაცვლითი კურსის ცვლილებების ეფექტი უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე აღირიცხება, როგორც რეალური ღირებულების მოგება ზარალი.

21/135

შპს მეტალ ქონსტრუქტორ ჯორჯია

შენიშვნები წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციისთვის - 2021 წლის 31 დეკემბერი

3. ზუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი („USD“) = 3.0976 ლარი და 1 ევრო („EUR“) = 3.504 ლარი (2021 წლის 1 იანვარი: 1 აშშ დოლარი = 3,2766 ლარი და 1 ევრო = 4,0233 ლარი). ამჟამად ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, საჭიროებისამებრ, დარიცხული საამორტიზაციო ანაზღაურებისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. მიმდინარე მშენებლობის („CIP“) კატეგორიაში შედის დინსტალირებული აღჭურვილობა და მშენებარე აქტივები მომავალი გამოყენებისთვის, როგორც ძირითადი საშუალებები.

შემდგომი ხარჯები გათვალისწინებულია აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია ინდივიდუალურ აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იმის ალბათობა, რომ საგანთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური შედეგები გამოყენებულ იქნება ჯგუფის მიმართ და საგნის ღირებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული. მცირე რემონტისა და ყოველწლიური ტექნიკური მომსახურების ხარჯები ჩამოიწერება მათი გაწევისას ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის ძირითადი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზებულია, ხოლო შეცვლილი ნაწილი მოცილებული.

ყოველი ანგარიშგების პერიოდის დასასრულს, ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ქონების, მოწყობილობების და აღჭურვილობის გაუფასურების რისკი ნიშნები. ამგვარი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ასანაზღაურებელ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც აქტივის სამართლიანი ღირებულების უმეტესი ოდენობა, მისი გაყიდვის ხარჯებისა და სამომხმარებლო ღირებულების გამოკლებით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად თანხამდე, ხოლო გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღიარებულია წლის მოგებასა ან ზარალში. წინა წლებში აქტივებისთვის აღიარებული, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი საჭიროებისამებრ იცვლება, თუ ადგილი ჰქონდა გაანგარიშებული პარამეტრების ცვლილებას, რომლებიც გამოიყენება აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით.

მოგება და ზარალი რეალიზაციიდან განისაზღვრება ამონაგების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარებულია წლის მოგებასა ან ზარალში სხვა საოპერაციო შემოსავლის ან ხარჯების ნაწილში.

ცვლა. მიწა, მიმდინარე მშენებლობის ობიექტები და დაუშენებელი მოწყობილობა არ იცვითება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვადასხვა ნაწილებზე ცვლის დარიცხვა გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა გადანაწილდეს მათი ღირებულება ნარჩენ ღირებულებებზე მათი სავარაუდო სასარგებლო ვადის განმავლობაში.

სასარგებლო გამოყენების ვადა წლების მიხედვით

შენობები:	20
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	5-13
სატრანსპორტო საშუალებები	5
საოფისე და სხვა ტექნიკა	5

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც კომპანია მიიღებდა ამჟამად აქტივის გასხვისებით, გასხვისების სავარაუდო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე იყო იმ ასაკისა და იმ მდგომარეობაში, რომელიც მოსალოდნელი იყო მისი სასარგებლო ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო ვადები გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის არამატერიალურ აქტივებს აქვს განსაზღვრული სასარგებლო ვადა და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამულ ლიცენზიებს.

შემძინილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება მათი შეძენისა და გამოყენებისთვის გაწეული ხარჯების საფუძველზე. კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი, მაგ.: მისი მოვლა პატრონობა, იხარჯება საჭიროების დადგომისას.

კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები ამორტიზებულია წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში 1-დან 7 წლამდე. ამორტიზაციის ხარჯები წარმოდგენილია მოგება ზარალის წინასწარი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებაში და სხვა სრული შემოსავლის - „ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების“ ფარგლებში.

გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება გამოყენების ღირებულებისა და სამართლიანი ღირებულების გამოკლებით.

ნი 155

3. ზღვალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების გაუფასურება: აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ცვეთას და ამორტიზაციას, მოწმდება გაუფასურებაზე იმ შემთხვევებში, როდესაც არსებულ ვითარებაში განვითარებული მოვლენები ან ცვლილებები მიაჩნდება, რომ საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ დაეკმდებაროს ანაზღაურებას. გაუფასურებით გამოწვეულ დანაკარგად აღიარებულია თანხა, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მისი ანაზღაურების ღირებულებას. ანაზღაურების ღირებულება წარმოადგენს აქტივის ყველაზე მაღალ სამართლიან ღირებულებას, ჩამოწერის ხარჯის და გამოყენების დროს მისი ღირებულების გამოკლებით. გაუფასურების შეფასებისთვის აქტივები ჯგუფდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც ხდება მნიშვნელოვანწილად დამოუკიდებელი ფულადი სახსრების შემოღობვები (ფულადის სახსრების მაგნიურიზებული ერთეულები). არაფინანსური აქტივების წინა გაუფასურებები ანალიზდება შესაძლო ინვერსიაზე ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ზაზრის მონაწილეებს შორის მოწესრიგებული გარიგების დროს შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის ფასი აქტიურ ზაზარზე. აქტიური ზაზარი არის ზაზარი, რომელშიც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული ტრანზაქციები ხდება საკმარისი სიხშირით და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ფასების შესახებ ინფორმაცია მუდმივ საფუძველზე.

აქტიურ ზაზარზე საბრუნავი ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ფასდება, როგორც ინდივიდუალური აქტივის ან პასივისთვის გამოცხადებული ფასისა და კომპანიის მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ნამრავლი. ეს ასე ხდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ზაზრის ჩვეულებრივი ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობა არაა საკმარისი არსებული რაოდენობის დასაფარად და დაკვეთების განხორციელებას ერთ გარიგებაში პოზიციის გასაყიდად შეუძლია გავლენის მოხდენა გამოცხადებულ ფასზე.

შეფასების ტექნიკა, როგორცაა, დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელები ან ბოლოდროინდელ საბაზრო გარიგებებზე დაფუძნებული მოდელები ან ინვესტირების ობიექტების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება გამოიყენება გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის, რომელთათვისაც გარე ზაზრის ფასების შესახებ ინფორმაცია არაა ხელმისაწვდომი. სამართლიანი ღირებულების შეფასების გაანალიზება ხდება სამართლიან ღირებულებათა იერარქიაში დონის მიხედვით, შემდეგნაირად: (i) პირველი დონე არის შეფასებები გამოცხადებული ფასებით (გაუსწორებელი) აქტიურ ზაზარებზე იდენტური აქტივების ან ვალდებულებების მიმართ, (ii) მეორე დონე არის შეფასების ტექნიკა ყველა მატერიალური ხარჯით, რომელიც ფიქსირდება აქტივისთვის ან პასივისთვის, პირდაპირ (ანუ, ფასების სახით) ან ორიხად (ანუ, ფასებიდან გამომდინარე) და (iii) მესამე დონის შეფასებები წარმოადგენს შეფასებებს, რომლებიც არაა დაფუძნებული მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებზე (ანუ, შეფასება საჭიროებს მნიშვნელოვან არა დაკვირვებად საწყის მონაცემებს). სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადარიცხვები განხორციელებულად ითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. იხილეთ შენიშვნა 21.

ტრანზაქციის ხარჯები არის დამატებითი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გაცემას ან განკარგვას. დამატებითი ღირებულება არის ის, რაც არ იქნებოდა გაწეული, რომ არ განხორციელებულიყო ტრანზაქცია. საოპერაციო ხარჯები მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც სავაჭრო აგენტების ფუნქციას ასრულებენ), მრჩეველებისთვის, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარებსა და საკომისიოებს, მარგულირებული სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟების მიერ დაწესებულ მოსაკრებლებს და გადაცემასთან დაკავშირებულ გადასახადებსა და მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯები არ მოიცავს სასესიო პრემიებს ან დისკონტებს. დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება („AC“) არის აქტივები, რომლებიც იწახება სახელმწიფოებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად, სადაც ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდას და ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. ამ ფინანსური აქტივებიდან საპროცენტო შემოსავალი შედის ფინანსურ შემოსავალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება აღიარების შეწყვეტისას, აღიარებულია უშუალოდ მოგებაში ან ზარალში და წარმოდგენილია სხვა მოგებაში/(ზარალში) სავალუტო მოგება ზარალთან ერთად. გაუფასურების ზარალი წარმოდგენილია ცალკე პუნქტის სახით მოგება ზარალის წინასწარი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს შესაბამისი პერიოდის განმავლობაში დარიცხული პროცენტებიდან მიღებული შემოსავალი და დარიცხული პროცენტების ხარჯის განაწილების მეთოდს, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღწევად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს გაანგარიშებული სამომავლო ნაღდი ფულის გადახდების ან მიღების დისკონტირებას (სამომავლო საკრედიტო ზარალის გამოკლებით), ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროებისამებრ, ფინანსური ინსტრუმენტის მთლიან საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მიძრაობის დისკონტირებას პროცენტის მომდინარე ფასების გადახდების თარიღამდე, გარდა პრემიის ან დისკონტისა, რომელიც ასახავს საკრედიტო მარჯას ინსტრუმენტში მითითებული არაფიქსირებული განაკვეთით ან სხვა ცვალებადი მაჩვენებლებისა, რომლებიც არაა გადაყვანილი საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიების ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი მოსალოდნელი ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელმეორეულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა მოსაკრებელს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

21/55

შპს მეტალ ქონსტრუქციონერ ჯორჯია

შენიშვნები წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციისთვის - 2021 წლის 31 დეკემბერი

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები FVTPL-ში თავდაპირველად ფიქსირდება სამართლიანი ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად ფიქსირდება სამართლიანი ღირებულებით პლიუს საოპერაციო ხარჯები. სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას საუკეთესოდ დასტურდება გარიგების ფასით. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას ფიქსირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გაყიდვის ფასს შორის არსებობს სხვაობა, რაც შეიძლება დადასტურდეს სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო მონაცემებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ხდება ECL, რეზერვის აღიარება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც ფასდება ამორტიზაციის ღირებულებით და ინვესტიციებისთვის დებიტორულ ინსტრუმენტებში, რომლებიც ფასდება FVOCI-თ, რაც იწვევს დაუყოვნებლივ ფინანსურ ზარალს.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება შეფასების კატეგორიები. ჯგუფი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს შეფასების შემდეგი კატეგორიებით: FVTPL, FVOCI და AC. დებიტორული ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) ჯგუფის ბიზნეს მოდელზე, დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვისთვის და (ii) აქტივის ფულადი ნაკადის მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ბიზნეს-მოდელი. ბიზნეს მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს ჯგუფი აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოქმნის მიზნით - მიუხედავად იმისა, არის თუ არა ჯგუფის მიზანი: (i) აქტივებისგან მხოლოდ სახელმწიფოებო ფულადი ნაკადების შეგროვება ("ფლოზოლობა სახელმწიფოებო ფულადი ნაკადების შეგროვების მიზნით") ან (ii) როგორც სახელმწიფოებო ფულადი ნაკადების, ისე იმ ფულადი ნაკადების შეგროვება, რომლებიც წარმოიქმნება აქტივების გაყიდვიდან ("ფლოზო სახელმწიფოებო ფულადი ნაკადების შეგროვების მიზნით და გაყიდვა"). ან, თუ არც (i) და არც (ii) არ გამოიყენება, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც "სხვა" ბიზნეს მოდელის ნაწილი და იზომება FVTPL-ით.

ბიზნესის მოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) მოქმედებების ყველა იმ შესაბამისი მტკიცებულების საფუძველზე, რომლებსაც ჯგუფი ახორციელებს შეფასების თარიღისთვის ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნის მისაღწევად.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ფულადი ნაკადის მახასიათებლები. თუ ბიზნეს მოდელის აქტივების ფლობის მიზანი სახელმწიფოებო ფულადი ნაკადების შეგროვებაა, ან სახელმწიფოებო ფულადი ნაკადების ფლობა და გაყიდვა, ჯგუფი აფასებს, წარმოადგენს თუ არა ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს („SPPI“). წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიანი ფინანსური აქტივები განიხილება მთლიანობაში, როდესაც დაინდება თუ რამდენად შეესაბამება მათი ფულადი სახსრები SPPI ფუნქციებს. ამ შეფასების განხორციელებისას, კომპანია ითვალისწინებს, შეესაბამება თუ არა სახელმწიფოებო ფულადი ნაკადები ძირითად საკრედიტო შეთანხმებებს, ანუ პროცენტი მოიცავს მხოლოდ საკრედიტო რისკის, ფულის დროითი ღირებულების, სხვა ძირითადი საკრედიტო რისკებისა და მოგების მარჯის გათვალისწინებას.

თუ სახელმწიფოებო პირობები ქმნის რისკის ან არასტაბილურობის საფრთხეს, რაც არ შეესაბამება თანხის ძირითადი სესხის შეთანხმებებს, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და იზომება FVTPL-ში. SPPI ს შეფასება ხორციელდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდგომში არ ხდება მისი გადაფასება.

ფინანსური აქტივები - რე-კლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტების რე-კლასიფიცირება ხდება მხოლოდ პორტფელის მართვის მოდელის მთლიანად შეცვლის შემთხვევაში. რე-კლასიფიკაციას აქვს საფარული ეფექტი და ხორციელდება პირველი საანგარიშო პერიოდის დასაწყისიდან, რომელიც მოსდევს ბიზნეს მოდელის ცვლილებას. კომპანიას არ შეუძლია თავისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შედარებითი პერიოდის განმავლობაში და არ განუხორციელებია რე-კლასიფიკაციები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - საკრედიტო ზარალის რეზერვი ECL-თვის. კომპანია მომავალზე ორიენტირებულ საფუძველზე აფასებს ECL-ს სასესხო ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეფასებულია AC და FVOCI-ზე და სასესხო ვალდებულებებიდან და ფინანსური გარანტიის კონტრაქტებიდან წარმოქმნილი ზემოქმედების გათვალისწინებით სახელმწიფოებო აქტივებისთვის. კომპანია აფასებს ECL-ს და აღიარებს ფინანსურ და სახელმწიფოებო აქტივებზე წმინდა გაუფასურების ზარალს ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. ECL-ის შეფასება ასახავს: (i) მიუკერძოებელ და სავარაუდო შეწონილ თანხას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით, (ii) ფულის დროულ ღირებულებას და (iii) ყველა გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ზედმეტი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო პირობების პროგნოზების შესახებ.

სასესხო ინსტრუმენტები, რომლებიც შეფასებულია AC-ით, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებით, გაცემული სესხები და კონტრაქტის აქტივები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის წინასწარ სპეციალურ ანგარიშგებაში ECL-ის რეზერვის გარეშე. სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიებისთვის, ECL-ის ცალკეული რეზერვი აღიარებულია, როგორც ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის წინასწარ სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებაში. სასესხო ინსტრუმენტებისთვის FVOCI-ში, ამორტიზებული ღირებულების ცვლილებები, მისულ ECL-ის რეზერვი, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, ხოლო სხვა ცვლილებები საბალანსო ღირებულებაში აღიარებულია OCI-ში. როგორც მოგება, ისე ზარალი სავალაო ინსტრუმენტებზე FVOCI-ში.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, რომელიც, თავის მხრივ, იყენებს მოქმედების განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის რეზერვს ყველა საფაქრო და სხვა დებიტორული დავალიანებისა და გაცემული სესხებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად საფაქრო დებიტორული დავალიანება ჯგუფდება საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები ეფუძნება გაყიდვების გადახდის პროფილებს 2021 წლის 31 დეკემბრამდე ან 2021 წლის 1 იანვრამდე 24 თვის განმავლობაში, შესაბამისად და შესაბამისი ისტორიული საკრედიტო ზარალი, რომელიც განიცადა ამ პერიოდში. ისტორიული ზარალის კოეფიციენტები კორექტირებულია იმისთვის, რომ ასახოს მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული ინფორმაცია მაკროეკონომიკური ფაქტორების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ კლიენტების უნარზე დებიტორული დავალიანების გადახდის კუთხით. კომპანიამ CPI და იმ ქვეყნების სავალუტო კურსი, რომლებშიც ის ყიდის თავის საქონელს და მომსახურებას, დაადგინა, როგორც ყველაზე რელევანტური ფაქტორი და შესაბამისად არეგულირებს ისტორიული ზარალის განაკვეთებს ამ ფაქტორების მოსალოდნელ ცვლილებებზე დაყრდნობით.

ფინანსური აქტივები - ჩამოწერა. ფინანსური აქტივები ჩამოიწერება მთლიანად ან ნაწილობრივ, როდესაც კომპანია ამოწურავს აღდგენის ყველა პრაქტიკულ მცდელობას და ასევე, რომ არ არსებობს აღდგენის გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების გაუქმების მოვლენას. კომპანიას შეუძლია ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომლებიც კვლავ ექვემდებარება სააღსრულებო საქმიანობას როდესაც კომპანია ცდილობს გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხები, თუმცა, არ არსებობს აღდგენის გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - ბალანსიდან ჩამოწერა. კომპანია ბალანსიდან ჩამოწერს ფინანსურ აქტივებს, როდესაც (ა) აქტივები იქნება გამოსყიდული ან აქტივებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე უფლებების ვადა სხვაგვარად ამოიწურება ან (ბ) კომპანია გადასცემს უფლებებს ფინანსური აქტივებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე ან დადებს საკვალფიკაციო სატრანზიტო შეთანხმებას, ამავდროულად (i) აქტივების საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და უპირატესობის არსებითად გადაცემით ან (ii) საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და უპირატესობის გადაცემისა და შენარჩუნების გარეშე, მაგრამ კონტროლის შენარჩუნების გარეშე.

კონტროლის შენარჩუნება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარეს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა მიჰყიდოს აქტივი მთლიანად არადაკავშირებულ მესამე მხარეს, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

ფინანსური აქტივები - მოდიფიკაცია. ზოგჯერ კომპანია ახორციელებს ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობების გადახედვას ან სხვაგვარ მოდიფიცირებას. შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით, კომპანია აფასებს, არსებითია თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიკაცია: ნებისმიერი ახალი სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს აქტივის რისკის პროფილზე (მაგალითად, მოგების წილი ან კაპიტალზე დაფუძნებული შეძენადი), მნიშვნელოვანი ცვლილება საპროცენტო განაკვეთში, ცვლილება ვალუტის დენომინაციაში, ახალი უზრუნველყოფა ან კრედიტის გაზრდა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივთან ასოცირებულ კრედიტის რისკზე ან კრედიტის მნიშვნელოვნად გახანგრძლივება, როდესაც მსესხებელი არ განიცდის ფინანსურ სირთულეებს.

თუ შეცვლილი პირობები არსებითად განსხვავებულია, თავდაპირველი აქტივიდან ფულადი სახსრების მოძრაობის უფლება იწურება, კომპანია წყვეტს თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას და აღიარებს ახალ აქტივს მისი სამართლიანი ღირებულებით, ხელმოწერა გადახედვის თარიღად ითვლება საწყისი აღიარების თარიღი გაუფასურების გაანგარიშების შემდგომი მიზნებისათვის, მათ შორის იმის განსაზღვრისთვის, ჰქონდა თუ არა ადგილი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას (SICR). კომპანია ასევე აფასებს, აკმაყოფილებს თუ არა ახალი სესხი ან სასესხო ინსტრუმენტი მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) კრიტერიუმს. ნებისმიერი სხვაობა აღიარება შეწყვეტილი საწყისი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალი, არსებითად მოდიფიცირებული აქტივის სამართლიან ღირებულებას შორის, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვაობა განეკუთვნება მფლობელებთან გარიგებას კაპიტალთან დაკავშირებით.

იმ შემთხვევაში, როდესაც გადახედვა განპირობებული იქნა მეორე მხარის ფინანსური სირთულეებისა და თავდაპირველად შეთანხმებული გადახდების განხორციელების შეუძლებლობის გამო, კომპანია ადარებს თავდაპირველ და შესწორებულ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს აქტივებთან, რათა განსაზღვროს აქტივის რისკები და სარგებელი არსებითად განსხვავდება თუ არა ერთმანეთისგან სახელშეკრულებო მოდიფიკაციის გამო. ხელშეკრულების მოდიფიკაცია, თუ რისკები და სარგებელი არ იცვლება, შეცვლილი აქტივი არსებითად არ განსხვავდება თავდაპირველი აქტივისაგან და მოდიფიკაცია არ იწვევს აღიარების შეწყვეტას. კომპანია ახდენს მთლიანი საბალანსო ღირებულების გადაანგარიშებას შეცვლილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დისკონტირების საშუალებით თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ან კრედიტის გათვალისწინებით კორექტირებული საპროცენტო განაკვეთით POCI ფინანსური აქტივებისთვის) და აღიარებს მოდიფიკაციით განპირობებულ სარგებელს ან ზარალს მოგებას ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები - შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც შემდგომში AC ს მიხედვით შეფასებული, გარდა (i) ფინანსური ვალდებულებების FVTPL. ში: აღნიშნული კლასიფიკაცია გამოიყენება დერივატივებისთვის, ვაჭრობისთვის დაკავებულ ფინანსური ვალდებულებებისთვის (მაგალითად, ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიციები), შემსყიდველის მიერ ბიზნეს-კომბინაციაში აღიარებული პირობითი ანაზღაურებისთვის და სხვა ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ამგვარად დადგენილი თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებებისა და სესხის ვალდებულებებისა.

21/135

შპს მეტალ ქონსტრუქშენ ჯორჯია

შენიშვნები წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციისთვის - 2021 წლის 31 დეკემბერი

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა ხდება მათი ამოწურვისას (ანუ როცა ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულებულია, გაუქმებულია ან იწურება).

ვალდებულებების ცვლილებები, რომლებიც არ იწვევს დაფარვას, აღრიცხება, როგორც შეფასების ცვლილება კუმულაციური დაგროვების მეთოდის გამოყენებით, ნებისმიერი მოგება ან ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ არის აღიარებული საბალანსო ღირებულების ეკონომიკური სხვაობა მფლობელებთან კაპიტალის გარიგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთჩათვლას ექვემდებარება და წმინდა თანხა დაფიქსირდება მხოლოდ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არსებობს აღიარებული თანხების ჩათვლის იურიდიულად დაცული უფლება და არსებობს ურთიერთჩათვლის განხორციელების ან ერთდროულად აქტივის გაყიდვისა და ვალდებულების დაფარვის განზრახვა. ამგვარი ჩათვლის ნაკადების შეგროვებისთვის და ეს ფულადი სახსრების სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიული ძალა უნდა ჰქონდეს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი საქმიანობისას, (ii) მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში და (iii) გადახდის უუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს საღირსში არსებულ ნაღდ ფულს, მოთხოვნადე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან მაღალ-ლიკვიდურ ინვესტიციებს თავდაპირველი დაფარვის ვადით სამი თვე ან ნაკლები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფასდება ამორტიზაციის ღირებულებით (AC), რადგან: (i) ისინი იმართება სახელშეკრულებო ფულადი სახსრების ნაკადების შეგროვებისთვის და ეს ფულადი სახსრების ნაკადები წარმოადგენს SPPI ს, და (ii) ისინი არ არის მითითებული FVTPLI ში. მხოლოდ ისეთი კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციები, როგორიცაა რესტრუქტურისაციის შესახებ კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, არ ახდენს გავლენას SPPI ტესტზე, შემდგომი ცვლილებების შემთხვევაშიც.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში ფასდება ამორტიზაციის ღირებულებით (AC), ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (იხილეთ შემდგომი პოლიტიკა ამ კუთხით სექციაში „ფინანსური აქტივების გაუფასურება საკრედიტო ზარალის რეზერვი ECL- სთვის“ მე 3 შენიშვნაში).

სავაჭრო და სხვა საკრედიტო დავალიანება. სავაჭრო საკრედიტო დავალიანების დარიცხვა ხდება, როცა მეორე მხარე შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ თავის მოვალეობებს და როცა ეს დავალიანება თავდაპირველად აღიარებული იქნება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში აისახება ამორტიზაციის ღირებულებით (AC), ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო საკრედიტო დავალიანება არაუზრუნველყოფილია და ჩვეულებრივ იხდინა აღიარებიდან 30 დღის განმავლობაში.

სავაჭრო საკრედიტო დავალიანების თანხები განიხილება როგორც მათი რეალური ღირებულება, მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანია არ ექვემდებარება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის კონცენტრაციას, რადგან კომპანიის ბიზნესი იმგვარად არის სტრუქტურირებული, რომ თავიდან აიცილოს საკრედიტო გაყიდვები, გაყიდვების უმეტესი ნაწილი ხდება წინასწარ გადახდის პირობებში და სავაჭრო დებიტორული ნაშთი მუდმივად შენარჩუნებულია დაბალ დონეზე.

კონცენტრაციის რისკი არსებობს კომპანიის ვადიანი დეპოზიტებისათვის როგორც 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. კომპანიის დეპოზიტები იყოფა 2 ბანკს შორის (2021 წლის 1 იანვარი: 2 ბანკი). რისკი იმართება სტაბილური გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებით, საკრედიტო რეიტინგების დამოუკიდებელი პროვაიდერის Fitch-ის მიხედვით (შენიშვნა 10). მენეჯმენტი რეგულარულად აკონტროლებს მოვალეთა საკრედიტო ხარისხს, რათა გამოავლინოს ფინანსური გაუარესება ადრეულ ეტაპზე.

ზაზრის რისკი. კომპანია ექვემდებარება საზაზრო რისკებს. საზაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) საპროცენტო აქტივებსა და ვალდებულებებში და (გ) აქტივებში, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზაზარზე საერთო და სპეციფიკური მოძრაობების გავლენას. ხელმძღვანელობა ადგენს ლიმიტებს იმ რისკის ღირებულების შესახებ, რომელიც შეიძლება დაშვებული იქნეს და რომლის მონიტორინგიც ყოველდღიურად ხორციელდება. თუმცა ამ მიდგომის გამოყენება არ გამორიცხავს ზარალის წარმოშობას სხვა მიზეზით, ზაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს ლიმიტებს ექსპოზიციის დონეზე ვალუტის მიხედვით და მთლიანობაში. პოზიციების მონიტორინგი ყოველდღიურად ხორციელდება. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს კომპანიის დაქვემდებარებას უცხოური ვალუტის კურსის რისკის მიმართ პერიოდების ბოლოს:

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			2021 წლის 1-ლი იანვრისთვის		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებ ები	წმინდა საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულე ბები	წმინდა საბალანსო პოზიცია
აშშ დოლარი	46,729,112	2,287,916	44,441,196	38,428,564	49,301,910	(10,873,346)
ევრო	8,276		8,276			
ლარი	4,454,579	870,318	3,584,261	246,744	743,541	(496,797)
	51,191,967	3,158,234	48,033,733	38,675,308	50,045,451	(11,370,143)
სულ						

ზემოაღნიშნული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. არაფულადი აქტივები არ ითვლება რაიმე მატერიალურ სავალუტო რისკად.

19 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს მოგება-ზარალის და კაპიტალის სენსიტიურობას საანგარიშო პერიოდის ბოლოს გამოყენებული გაცვლითი კურსების გონივრულ შესაძლო ცვლილებებზე კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებაში, ყველა სხვა ცვლადის უცვლელად შენარჩუნებით:

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	31 დეკემბერი, 2021	
	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე	გავლენა კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	8,934,022	(8,934,022)
აშშ დოლარის შესუსტება 20%-ით	(8,934,022)	8,934,022
ევროს გამყარება 20%-ით	1,655	(1,655)
ევროს შესუსტება 20%-ით	(1,655)	1,655

რისკი გამოითვლება მხოლოდ კომპანიის ფუნქციონალური ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში დენომინირებულ ფულად ნაშთებზე.

კომპანია მნიშვნელოვნად ექვემდებარება სავალუტო რისკს, პირველ რიგში, აშშ დოლარს. სავალუტო რისკი წარმოიქმნება მომავალი ოპერაციებიდან და აღიარებული აქტივებიდან (ძირითადად ვადიან დეპოზიტებით) და ვალდებულებებიდან, რომლებიც დენომინირებულია ვალუტაში, რაც არ არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა. სავალუტო რისკის მნიშვნელოვანი ზემოქმედება დაკავშირებულია კომპანიის ბიზნეს მოდელთან, რადგან, როგორც წესი, ყველა ინვენტარის შესყიდვა ხორციელდება უცხოური კომპანიებისგან, რომლებიც ანგარიშსწორებას ახდენენ უცხოურ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივების დონე განპირობებულია კომპანიის მოლოდინებით ინვენტარის შესყიდვებთან დაკავშირებული სავარაუდო სამომავლო ხარჯებთან დაკავშირებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანია ექვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის არსებული დონეების გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების ნაკადებზე. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკებს.

ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გაერთიანებული თანხები საბალანსო ღირებულებით, რომლებიც კატეგორიზირებულია სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის ადრეული გადათვლის ან ვალდებულების შესრულების ვადების მიხედვით იმის გათვალისწინებით, თუ რომელი თარიღი დადგება უფრო ადრე.

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი ხნით	სულ
31 დეკემბერი, 2021					
სულ ფინანსური აქტივები	51,191,967				51,191,967
სულ ფინანსური ვალდებულებები	(2,929,318)				(2,929,318)
პროცენტისადმი მგრძნობელობის ზღვარი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	48,262,649	-	-	-	48,262,649
1 იანვარი, 2021					
სულ ფინანსური აქტივები	38,675,308				38,675,308
სულ ფინანსური ვალდებულებები	(50,045,451)				(50,045,451)
პროცენტისადმი მგრძნობელობის ზღვარი 2021 წლის 1-ლი იანვრისთვის	(11,370,143)	-	-	-	(11,370,143)

კომპანიას არ აქვს საპროცენტო განაკვეთების რისკების მართვისთვის საჭირო ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები, რადგან ხელმძღვანელობა ამ რისკს კომპანიის საქმიანობისთვის უმნიშვნელოდ მიიჩნევს.

21 155

19. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომელსაც საწარმო შეიძლება დაექვემდებაროს ფინანსურ ვალდებულებების შესრულებისას. ჯგუფი ექვემდებარება ყოველდღიურ მოთხოვნებს მის ხელთ არსებული ფულადი რესურსებთან მიმართებით. ხელმძღვანელობა ყოველთვიურად აკონტროლებს მოძრავ პროგნოზებს ჯგუფის ფულადი ნაკადების შესახებ.

კომპანია ცდილობს, შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, რომელიც ძირითადად სესხებისგან შედგება. კომპანია ინვესტირებას ახდენს ლიკვიდური აქტივების დივერსიფიცირებულ პორტფელში, რათა სწრაფად მოახდინოს რეაგირება გაუთვალისწინებელი ლიკვიდურობის მოთხოვნებზე. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი შედგება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისგან. ხელმძღვანელობის შეფასებით, ფულადი სახსრების ლიკვიდურობის პორტფელის რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს ნაღდი ფულით დღის განმავლობაში, რათა გათვალისწინებულ იქნას ლიკვიდურობის ნებისმიერი გაუთვალისწინებელი მოთხოვნები.

ლიკვიდურობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკების ანალიზი წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	1 წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31 დეკემბერი, 2021
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები (შენიშვნა 0)	2,713,489	-	-	2,713,489
კრედიტორული დავალიანება (შენიშვნა 0)	188,663	-	-	188,663
სახელშეკრულებო ვალდებულებები(შენიშვნა 0)	27,166	-	-	27,166
სულ	2,929,318	-	-	2,929,318

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	1 წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	1 იანვარი, 2021
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები (შენიშვნა 0)	7,177,379	-	-	7,177,379
კრედიტორული დავალიანება (შენიშვნა 0)	133,886	-	-	133,886
სახელშეკრულებო ვალდებულებები(შენიშვნა 0)	42,734,186	-	-	42,734,186
სულ	50,045,451	-	-	50,045,451

20. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანიის ამოცანას წარმოადგენს მის მიერ პარტნიორებისთვის თანხების დაბრუნების, სხვა დაინტერესებული პირებისთვის სარგებლის უზრუნველყოფის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნების შესაძლებლობის დაცვა, რათა შემცირდეს კაპიტალის ღირებულება. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნებისა და რეგულირებისთვის კომპანიას შეუძლია დივიდენდების რაოდენობის დარეგულირება, რომელსაც ის პარტნიორებს უხდის, პარტნიორებისთვის კაპიტალის დაბრუნება, ახალი აქციების გამოშვება ან აქტივების გაყიდვა დავალიანების შესამცირებლად. კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალის მოთხოვნებს.

21. სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება

სამართლიანი ღირებულების გაზომვები სამართლიანი ღირებულების იერარქიაში გაანალიზებულია დონის მიხედვით შემდეგნაირად: (i) პირველი დონე წარმოადგენს გაზომვებს კოტირებული ფასებით (დაუკოორექტირებელი), მოქმედი იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე, (ii) მეორე დონის გაზომვები წარმოადგენს შეფასების მეთოდებს ყველა არსებითი ამოსავალი მონაცემით, რომლებიც მოქმედებს აქტივის ან ვალდებულებისთვის, პირდაპირ (ანუ, როგორც ფასები) ან ირიბად (ანუ ფასებისგან წარმოქმნილი), და (iii) მესამე დონის გაზომვები წარმოადგენს შეფასებებს, რომლებიც არ ეფუძნება ბაზრის არსებულ მონაცემებს (ანუ არასაბაზრო მონაცემებს). ხელმძღვანელობის მიდგომა ეფუძნება ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიზაციას, სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით. თუ სამართლიანი ღირებულების გაზომვისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რომლებიც მოითხოვს მნიშვნელოვან კორექტირებებს, ამგვარი გაზომვა წარმოადგენს მესამე დონის გაზომვას. შეფასების ამოსავალი მონაცემების მნიშვნელოვნება მთლიანობაში ფასდება სამართლიანი ღირებულების შეფასებასთან მიმართებაში.

21. სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება (გაგრძელება)

ღირებულებები განისაზღვრა კომპანიის მიერ არსებული საბაზრო ინფორმაციისა და შესაბამისი შეფასების მეთოდოლოგიების გამოყენებით. თუმცა, შეფასებული სამართლიანი ღირებულების დასადგენად საჭიროა საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაცია. საკრთველო აგრძელებს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლების ჩვენებას, ხოლო ეკონომიკური პირობები კვლავ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე აქტივობის მოცულობას. საბაზრო კოტირება შეიძლება იყოს მოძველებული ან ასახავდეს გაყიდვის ოპერაციებს და, შესაბამისად, არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. ხელმძღვანელობამ გამოიყენა ყველა არსებული საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისას.

ბალანსზე ამორტიზებული ღირებულებით აყვანილი ვალდებულებები. გამოთვლილი სამართლიანი ღირებულება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტებისთვის სახელმწიფო ვალდებულების დაფარვის დადგენილი ვადებით, რომელთათვისაც კოტირებული საბაზრო ფასი არ არის ხელმისაწვდომი, გამოანგარიშდა სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია ანალოგიური საკრედიტო რისკების და დარჩენილი სახელმწიფო ვალდებულების დაფარვის ვადების მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული სახით. სავაჭრო გადასახდელების და სხვა ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მიახლოებით განსაზღვრავს სამართლიან ღირებულებებს მათი სახელმწიფო ვალდებულების დაფარვის მოკლევადიანი პერიოდის მიხედვით.

ამორტიზებული ღირებულებით ბალანსზე აყვანილი ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება მითითებული დაფარვის ვადით შეფასდა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებულია ახალი ინსტრუმენტებისთვის მსგავსი საკრედიტო რისკის და დარჩენილი ვადის მქონე მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებებში აღრიცხული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების რეალური ღირებულება განისაზღვრა 1 დონის გამოყენებით, ხოლო სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განისაზღვრა მე 3 დონის გამოყენებით.

22. ფინანსური ინსტრუმენტების პრეზენტაცია შეფასების კატეგორიით

შეფასების მიზნებისთვის ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს შემდეგ კატეგორიებში: (ა) ფინანსური აქტივები FVTPL ით, (ბ) ვალის ინსტრუმენტები FVOCI ით, (გ) კაპიტალის ინსტრუმენტები FVOCI ით და (დ) ფინანსური აქტივები ამორტიზაციის ღირებულებით. ფინანსური აქტივები FVTPL ით ორი ქვე კატეგორიით ხასიათდება: (i) აქტივები, რომლებიც სავალდებულო წესით ფასდება FVTPL ით და (ii) აქტივები, რომელთა დანიშნულება თავდაპირველი აღიარებისას ან შემდგომ პერიოდში განისაზღვრება. ამასთან, ფინანსური იჯარის დებიტორული დავალიანებები ქმნის ცალკე კატეგორიას.

23. მოვლენები ანგარიშგების პერიოდის შემდეგ

რუსეთის სამხედრო ინტერვენცია უკრაინაში. 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთი უკრაინის საზღვართან დაჯგუფების შემდეგ რუსულმა სამხედრო ძალებმა გადაჭრეს საზღვარი. ხსენებული კონფლიქტი წარმოადგენს უდიდეს სამხედრო შეტაკებას ევროპის სახელმწიფოში მე 2 მსოფლიო ომის შემდეგ. ამ მოვლენამ გამოიწვია ლტოლვილების კრიზისი ევროპაში, რადგან ომის დაწყების შემდეგ მილიონობით უკრაინელმა დატოვა თავისი სამშობლო. უკრაინასთან ომის გამო ბევრმა წამყვანმა სახელმწიფომ და ეკონომიკურმა კავშირმა მწვავე ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს და აღინიშნა რუსული რუბლის მნიშვნელოვანი გაუფასურება უცხოურ ვალუტასთან მიმართებით, აგრეთვე დაეცა ფასი მნიშვნელოვნად ფასიან ქაღალდებზე რუსულ ბაზრებზე და სხვა ბაზრებზე არსებულ რუსული კომპანიების შემთხვევაში. ბევრმა კომპანიამ თავისი ბიზნესი რუსეთიდან ბელარუსში გადაიტანა. სიტუაცია კვლავ რთულია. მან უკვე გამოიწვია პლანეტარული კრიზისი და მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთში და დანარჩენ მსოფლიოში. კომპანია უკრაინაში არსებულ კონფლიქტს მიიჩნევს არაკორექტირებად მოვლენად, რომელიც ბალანსის შედგენის შემდგომ მიმდინარეობს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მას არ ექნება საგრძნობი გავლენა ჯგუფის საქმიანობაზე. რადგან კონფლიქტი გრძელდება, ძნელია იმ სრული გავლენის შეფასება, რომელიც მას შესაძლოა ექნეს ჯგუფის საქმიანობაზე, რადგან გაურკვეველია მისი გავლენა ეკონომიკაზე ზოგადად. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება ეკონომიკურ სიტუაციას არსებულ გარემოში.

ფეროშენადნობთა ქარხნის შეძენა. 2022 წლის 28 ივლისს კომპანიამ შპს „ქიათურმანგანუმ ჯორჯიასგან“ დაკავშირებული მხარისგან შეიძინა მოქმედი ფეროშენადნობთა ქარხანა და მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს თბილისში, ორხევის რაიონში ტრანზაქციის ღირებულებამ 14 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2022 წელს კომპანიამ აქტიურად დაიწყო ფეროშენადნობი პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია.

21/138

შპს „მეტალ ქონსტრუქციონი ჯორჯია“

მმართველობითი ანგარიშგება

თბილისი

2021

71 155

1. საქმიანობის მიმოხილვა, ბიზნესის განვითარება და პოზიცია

შპს „მეტალ ქონსტრაქშენ ჯორჯია“ (კომპანია) დაფუძნებულ იქნა 2016 წელს. მისი საქმიანობის ძირითად სფეროებს წარმოადგენს სხვადასხვა ლითონის პროდუქტების, კონსტრუქციებისა და საწარმოო მოწყობილობების წარმოება და მონტაჟი, აგრეთვე ფეროშენადნობების წარმოება და გაყიდვა.

2021-2022 წლებში კომპანიამ განახორციელა ორი ფართომასშტაბიანი პროექტი ყაზახეთში, მან ააშენა და ექსპლუატაციაში გაუშვა აგლომერაციის და ფეროშენადნობის ქარხნები „ASIA FERROELOYS“-თან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

2021 წელს კომპანიის ჯამურმა ბრუნვამ შეადგინა 180 259 982 ლარი, საერთო მოგება 69 071 082 ლარი, ხოლო 2021 წლის მოგებამ შეადგინა - 67 180 532 ლარი.

2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

მისი შემოწმების მომენტიდან მოყოლებული შპს „მეტალ ქონსტრაქშენ ჯორჯია“ ვითარდება ლითონის კონსტრუქციებისა და საწარმოო მოწყობილობების წარმოებისა და მონტაჟის სფეროში. 2022 წლიდან მან დაიწყო განვითარება ახალი მიმართულებით, შეისყიდა ფეროშენადნობის ქარხანა და აქტიურად ჩაერთო ფეროშენადნობების წარმოებაში, როგორც ერთ-ერთი კონკურენტუნარიანი კომპანია საქართველოში.

3. კომპანიის მიერ ჩატარებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა

2021 წელს კომპანია არ ყოფილა ჩართული კვლევისა და განვითარების საქმიანობაში.

კომპანია დაარსდა 2016 წელს. თავდაპირველად, მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა ლითონის კონსტრუქციების დაშლა და აწყობა. 2018-2019 წლებში კომპანიამ განახორციელა დაახლოებით 2 400 ტონა დაშლილი ლითონის კონსტრუქციების ექსპორტი. 2021-2022 წლებში მან ააშენა ორი ქარხანა საქართველოს საზღვრებს გარეთ. კომპანია განაგრძობს განვითარებას საქმიანობის ძირითად სფეროში, ისევე როგორც ახალი მიმართულებით, კერძოდ, ფეროშენადნობების წარმოებაში.

4. ინფორმაცია შვილობილი კომპანიების შესახებ

კომპანიას არ ჰყავს შვილობილი კომპანიები. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს ქალაქ თბილისში. მისი სტრუქტურული ერთეულები მდებარეობენ თბილისსა და რუსთავეში.

5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები:

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 2021 წლისთვის:

ჯამური ბრუნვა: 180 259 982 ლარი;

საერთო მოგება: 69 071 082 ლარი;

მოგება ერთ წელიწადში: 67 180 532 ლარი.

h/ 1/5

6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი წილის შესყიდვის შესახებ

2021 წელს კომპანიას არ შეუძენია თავისი საკუთარი წილი.

7. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობისა და ფულადი სახსრების მოძრაობის რისკების მიმოხილვა და მათი კონტროლის მექანიზმები

ყველა ანგარიშსწორება ხორციელდება საბანკო გადარიცხვის გზით კომპანიის ანგარიშზე და 2021 წლის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია რაიმე სახის დაგვიანებულ გადახდებს. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ გაყიდვები ძირითადად ხორციელდებოდა უცხოურ ვალუტაში და შესყიდვის ძირითადი ნაწილი ხორციელდებოდა ადგილობრივ ვალუტაში, სავალუტო რისკის შესამცირებლად, კომპანია მონიტორინგს უწევს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის ტენდენციებს, საბაზრო ინტერესსა და ინფლაციის მაჩვენებლებს.

8. კოვიდ-19-ის გავლენა

ახალმა კორონა ვირუსმა დიდი გავლენა მოახდინა შპს „მეტალ ქონსტრაქშენ ჯორჯია“-ს საქმიანობაზე, კერძოდ: ნედლეულისა და მასალების შესყიდვასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა იჩინეს თავი, შესაბამისად, ტრანსპორტირების ვადები და ხარჯები გაიზარდა. მიუხედავად ამ პრობლემებისა, კომპანიამ წარმატებით განახორციელა მიმდინარე პროექტები სწორი სტრატეგიისა და დაგეგმარების ხარჯზე და საბოლოო ჯამში, კოვიდ-19-მა ვერ მოახდინა ნეგატიური გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

9. ძირითადი რისკები და მათი პრევენციის საშუალებები

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკური ბუნების გათვალისწინებით, შესაძლო რისკებია შემდეგი:

- ლარის გაცვლითი კურსის რყევები.
- ფინანსური რისკები.

კომპანიის წინაშე არსებული რისკების პრევენციის მიზნით, ეს რისკები მუდმივად კონტროლდება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ, რისკების თავიდან ასაცილებლად შესაბამისი ზომების მისაღებად.

ლარის გაცვლითი კურსის რყევები არსებითად არ ზემოქმედებენ კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე, ვინაიდან ყიდვა-გაყიდვების თითქმის 100% ხორციელდება აშშ დოლარში, ამგვარად, ლარის გაცვლითი კურსი ვერ ახდენს არსებით ზემოქმედებას კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე.

სამუშაოს სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე, ფულადი შემოდიდება ძალიან მგრძნობიარე საკითხია კომპანიისთვის ფინანსური რისკების კუთხით. იგი შესაძლოა გახდეს პრობლემატური მიმდინარე გადახდის ვალდებულებებთან დაკავშირებით არასაკმარისი ფულადი შემოდინებების გამო. ზემოაღნიშნული რისკის უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიამ შეიმუშავა საკმაოდ ფრთხილი პოლიტიკა, კერძოდ, არსებითი კაპიტალის ხარჯები იგეგმება მხოლოდ კომპანიის

21/155

საკუთრებაში არსებული თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაციის ხარჯზე და შესაბამისად, ზემოაღნიშნული რისკი, კაპიტალის ხარჯების კუთხით, არ არსებობს.

ისტორიული მონაცემების საფუძველზე, კომპანიის პოლიტიკა არის ეფექტური ფინანსური რისკების თავიდან აცილების კუთხით. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია განვითარდა სწრაფად, დამატებითი მნიშვნელოვანი ინვესტიციების გაზრდის გარეშე, ამ სტრატეგიის გაგრძელება მომავალშიც იგეგმება.

27 დეკემბერი 2022 წ.

/ხელმოწერილია/ /ზეჭედადსმულია/

დირექტორი:

გიორგი მწითური

21/135

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N221773148



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

29.12.2022 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

ელისო შიხიაშვილი

სანოტარო ბიუროს მისამართი

თბილისი, ლესელიძის ქ.#17

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

599446826

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

84797400661522



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

The authenticity of the present document can check any interested person about its change/ cancellation on the web-site of the Notary Chamber of Georgia – www.notary.ge in the electronic net of “Notary Activities” or call in Notary Chamber of Georgia at this telephone number + (995 32) 2 66 19 18

ორი ათას ოცდაორი წლის ოცდაცხრა დეკემბერს მე, ნოტარიუსი ელისო შიხიაშვილი, რომლის სანოტარო ბიუროს მდებარეობს ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. 17, ვადასტურებ მთარგმნელის მაკა კვანტალიანის (დაბ. 10.09.1989წ., მცხოვრები ქ. თბილისი, კოტე აფხაზის 1 ლიხი №4, პირადი №01011066963, პ/მ № 30888397, გაცემულია 01.03.2006წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს იხნის სამსახურის მიერ) ხელმოწერის ნამდვილობას. მთარგმნელმა წარმოადგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ხარისხის სერტიფიკატი გაცემული 2011წ. გოთლენდის უნივერსიტეტის მიერ № 890910-T043) თარჯიმანი გაფრთხილებულია თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოების შესახებ. მხარეებმა და თარჯიმანმა დამადასტურეს თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოების არარსებობის შესახებ. მე გავაფრთხილე თარჯიმანი იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს. მან დამადასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს.

29.12.2022 I, Notary Public **Eliso Shikhiashvili**, the notary office located at the address: 17 Leselidze St. Tbilisi, certify that the signature of the translator **Maka Kvantaliani** (date of birth: 10.09.1989, residing at the address: 8 Bzipi St. Tbilisi, personal ID: 01011066963, ID card #: B0888397, issued on: 01.03.2006 by Isani service of Civil Registry Agency) is genuine. The translator presented the diploma #:890910-T043 issued by the Gotland University in 2011). I, Notary Public have warned the translator, that she was responsible for an accurate translation. The translator confirmed that she duly knew Georgian and English languages and ensured the exactness of the translation.

გადახდილია საზღაური 222.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 31-ე მუხლისა, ასევე დღგ 39-96 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახდო კოდექსის 166-ე მუხლისა. ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი 5-00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 39-ე მუხლისა. (ორი ევროპული ერთეული)

Fee paid 222-00 GEL, according to the Article 31st, resolution #507 dated 29.12.2011 adopted by Georgian Government about the fees, the rules of payment and approving the service terms determined for the Notary Chamber of Georgia and for the fulfillment of notary activities, also VAT 39-96 GEL, according to Article 166th of Georgian Tax Code according to the Article 39th, resolution (dated 29.12.2011). Changsha Sincare Inc

ნოტარიუსი
Notary Public

/ელისო შიხიაშვილი/
/ Eliso Shikhiashvili/



შპს მეტალ ქონსტრაქშენ ჯორჯია

წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია:

ფინანსური მდგომარეობის შესახებ წინასწარი სპეციალური ანგარიშგება	1
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის შესახებ წინასწარი სპეციალური ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილებების შესახებ წინასწარი სპეციალური ანგარიშგება.....	3
ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ წინასწარი სპეციალური ანგარიშგება	4

შენიშვნები წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციისთვის

1	კომპანია და მისი ოპერაციები	5
2	კომპანიის საოპერაციო გარემო	5
3	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	6
4	კრიტიკული საბუღალტრო გაანგარიშებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	14
5	სიახლეები საბუღალტრო აღრიცხვაში	9
6	ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	18
7	ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა	19
8	სასაქონლო-მატერიალური აქტივები.....	20
9	სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.....	20
10	ფულადი სახსრები და ფულის ეკვივალენტები	20
11	გაცემული სესხები	20
12	საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების შეჯერება	21
13	სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	22
14	მომხმარებლებთან ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი აქტივები და ვალდებულებები	22
15	შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	22
16	გაყიდვების ფასი	23
17	ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	23
18	გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები.....	24
19	ფინანსური რისკის მართვა	24
20	კაპიტალის მართვა	27
21	სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება	27
22	ფინანსური ინსტრუმენტების პრეზენტაცია გაზომვის კატეგორიით	28
23	მოვლენები ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.....	28



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მეტალ ქონსტრაქშენ ჯორჯიას“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას:

ჩვენი დასკვნა

ჩვენი აზრით, შპს „მეტალ ქონსტრაქშენ ჯორჯიას“ („კომპანია“) წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია (შემდგომში „ფინანსური ინფორმაცია“), 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მომზადებულია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის შენიშვნა 3-ში მოცემული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების გათვალისწინებით და "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

რისი აუდიტი ჩავატარეთ

კომპანიის წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მოიცავს შემდეგს:

- ფინანსური მდგომარეობის შესახებ წინასწარი სპეციალური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის შესახებ წინასწარი სპეციალური ანგარიშგება მითითებულ თარიღს დასრულებული წლისთვის;
- კაპიტალში ცვლილებების შესახებ წინასწარი სპეციალური ანგარიშგება მითითებულ თარიღს დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ წინასწარი სპეციალური ანგარიშგება მითითებულ თარიღს დასრულებული წლისთვის; და
- წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები, რომლებიც მოიცავს მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკებს და სხვა განმარტებებს.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი მოვალეობები დამატებით აღწერილია ჩვენი ანგარიშის ნაწილში "აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისთვის".

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებელნი ვართ კომპანიისგან პროფესიონალი ბუღალტრებისთვის ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გაცემული პროფესიონალი ბუღალტრების ბუღალტერთა ეთიკისკოდექსის (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) თანახმად. ჩვენ შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური მოვალეობები დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მნიშვნელოვანი პარაგრაფი - საბუღალტრო აღრიცხვის საფუძველი და გადანაწილებისა და გამოყენების შეზღუდვა
გვსურს ყურადღება მივაქციოთ წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მე-3 შენიშვნას, რომელიც განმარტავს საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლებს. მე-3 შენიშვნა მოიცავს კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკას, რომელიც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (IFRS) ეფუძნება, რომელიც გამოიყენება IFRS 1-ის საფუძველზე „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველადი გამოყენება“. მე-3 შენიშვნა აგრეთვე აღწერს ვარაუდების მართვას, რომელიც გაკეთებულია სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შესახებ, რომელთა ამოქმედებაც მოსალოდნელია და პოლიტიკის შესახებ, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია, როცა კომპანია მოამზადებს IFRS-ის ფინანსური ანგარიშგების პირველ სრულ კომპლექტს 2022 წლის 31 დეკემბრისთვის.

PricewaterhouseCoopers Georgia LLC; King David Business Center, 7th floor, #12 M. Aleksidze Street, Tbilisi 0171, Georgia, Tel: +995 (32) 250 80 50, www.pwc.com/ge

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ მე-3 შენიშვნა ხსნის, თუ რატომ არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ თანმხლები წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციას შესაძლოა დასჭირდეს შესწორება, სანამ საბოლოო შედარებადი ინფორმაციის სახით არ იქნება წარმოდგენილი კომპანიის IFRS-ის ფინანსური ანგარიშგების პირველ სრულ კომპლექტში 2022 წლის 31 დეკემბრისთვის. უფრო მეტიც, ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაცია წინა პერიოდთან დაკავშირებით შედარებადი ინფორმაციის გარეშე, არ წარმოადგენს IFRS-ის შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს.

ჩვენი ანგარიში გამიზნულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნით და შპს მეთალ ქონსტრაქშენ ჯორჯიას ხელმძღვანელობის მიერ გამოსაყენებლად, კომპანიის ფინანსური ანგარიშგების IFRS-ად გარდაქმნასთან დაკავშირებით. დაუშვებელია ნებისმიერი სხვა მიზნით მისი გამოყენება ან სხვა მხარეებისთვის გადაცემა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქართველოს კანონმდებლობით არის მოთხოვნილი. ჩვენი შეხედულება ამ საკითხებთან დაკავშირებით არ არის შეცვლილი.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ინფორმაციას და ჩვენი აუდიტორის დასკვნას მათ შესახებ).

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით არ ეხება ხელმძღვანელობის ანგარიშს.

ფინანსურ ინფორმაციის ჩვენს აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი მოვალეობაა ხელმძღვანელობის ანგარიშის წაკითხვა და იმის განხილვა, ხელმძღვანელობის ანგარიში არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ინფორმაციასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან ან არის თუ არა სხვაგვარად არსებითად არასწორად წარმოდგენილი. თუ ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიშში არსებითი ცდომილებაა, ვალდებულნი ვართ ვაცნობოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს შესატყობინებელი.

გარდა ამისა, "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით ჩვენ მოგვეთხოვება აზრის გამოთქმა იმის თაობაზე, შეესაბამება თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიშის გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და იმის განხილვა, შეიცავს თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიში "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით, ჩვენი აზრით:

- ხელმძღვანელობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, როცა მომზადდა ფინანსური ინფორმაცია, შესაბამისობაშია ფინანსურ ინფორმაციასთან;
- ხელმძღვანელობის ანგარიში შეიცავს ინფორმაციას, რომელიც პასუხობს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პარაგრაფის მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობისა და მართვაზე პასუხისმგებელი პირების მოვალეობები ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ინფორმაციის მომზადებაზე შენიშვნა 3-ში მოცემული პრინციპების გათვალისწინებით, როგორც კომპანიის ფასს-ზე გადასვლის ნაწილი და შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ ჩათვლის ფინანსური ინფორმაციის მომზადების უზრუნველსაყოფად, რომლებიც არ შეიცავს არსებით არასარწმუნო მონაცემებს არაკეთილსინდისიერი ქმედებების ან შეცდომების შედეგად.

ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს კომპანიის უნარი - განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ, საჭიროებისამებრ მოქმედ საწარმოსთან დაკავშირებული საკითხების გამჭლავნებით და მოქმედი საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპის გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხელმძღვანელობა გეგმავს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას ან არ გააჩნია სხვა რეალისტური ალტერნატივა, გარდა აღნიშნულისა.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ინფორმაციის აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ინფორმაცია მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- ▶ გამოავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ინფორმაციაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

შპს „ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველოს" სახელით (რეგ.# SARAS-F-775813)

შპს „ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველოს" სახელით (რეგ.# SARAS-F-775813)
ლაშა ჯანელიძე (რეგ.#SARAS-A-562091)

2022 წლის 27
დეკემბერი
თბილისი,
საქართველო

შპს მეტალ ქონსტრუქშენ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის წინასწარი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2021	1 იანვარი, 2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა და არამატერიალური აქტივები	7	2,602,852 15,988	2,890,809 22,604
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,618,840	2,913,413
მიმდინარე აქტივები			
მატერიალურ-საწარმოო მარაგები	8	8,337,653	4,095,967
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	6,652,511	1,220,528
კონტრაქტის აქტივები	14	10,244,283	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	39,009,803	38,509,407
სულ მიმდინარე აქტივები		64,244,250	43,825,902
სულ აქტივები		66,863,090	46,739,315
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი დეფიციტი)		63,866,353	(3,314,179)
სულ კაპიტალი		63,866,353	(3,314,179)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	11	2,713,489	7,177,379
სახელშეკრულებო ვალდებულებები	14	27,166	42,734,186
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	13	256,082	141,929
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,996,737	50,053,494
სულ ვალდებულებები		2,996,737	50,053,494
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		66,863,090	46,739,315

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია 2022 წლის 27 დეკემბერს.

გიორგი მწითური
 დირექტორი

მე-5-დან 28-მდე გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის განუყოფელ ნაწილს.¹

შპს მეტალ ქონსტრუქციონი

წინასწარი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის შესახებ

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	შენიშვნა	2021
შემოსავალი მომხმარებლებთან ხელშეკრულებებიდან	15	180,259,982
გაყიდვების ღირებულება	16	(111,188,900)
საერთო მოგება		69,071,082
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(1,333,427)
სხვა დანაკარგები, წმინდა		(485,123)
საოპერაციო მოგება		67,252,532
ფინანსური ხარჯები	12	(72,000)
მოგება საშემოსავლო გადასახადამდე		67,180,532
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი		-
მოგება წლის განმავლობაში		67,180,532
სხვა სრული შემოსავალი		-
სხვა სრული წლიური შემოსავალი		67,180,532

შპს მეტალ ქონსტრაქშენ ჯორჯია
კაპიტალში ცვლილებების წინასწარი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	(დაგროვილი დეფიციტი) / გაუნაწილებელი მოგება	სულ
<i>თანხები მოცემულია ქართულ ლარში</i>			
ბალანსი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	(3,314,179)	(3,314,179)
მოგება წლის მანძილზე	-	67,180,532	67,180,532
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	63,866,353	63,866,353
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	63,866,353	63,866,353

შპს მეტალ ქონსტრუქშენ ჯორჯია

შენიშვნები წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციისთვის - 2021 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ქართულ ლარში	შენიშვნა	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება სამემოსავლო გადასახადამდე		67,180,532
კორექტირებები:		
ძირითადი საშუალებების ცვეთა და გაუფასურება		259,826
სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია და გაუფასურება		6,616
ზარალი მოგების გარეშე ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან		(422,588)
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურება		330,408
ფინანსური ხარჯები		72,000
სავალუტო კურსის სხვაობები		884,755
ფულადი ნაკადები ოპერაციული საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალში ცვლილებების განხორციელებამდე		68,311,549
სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებები		(5,662,937)
კონტრაქტის აქტივები		(10,244,283)
ინვენტარები		(4,241,686)
სავაჭრო და სხვა გადასახდელები		1,968,614
სახელშეკრულებო ვალდებულებები		(42,707,020)
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში		(60,887,312)
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული ოპერაციული საქმიანობიდან		7,424,237
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ქონების, მოწყობილობების და აღჭურვილობის შეძენა	7	(568,116)
შემოსავალი ქონების, მოწყობილობების და აღჭურვილობის გაყიდვიდან		1,018,835
წმინდა ნაღდი ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		450,719
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების დაფარვა		(4,462,693)
წმინდა ნაღდი ფული, რომელიც გამოიყენება საფინანსო საქმიანობაში		(4,462,693)
გაცვლითი კურსის ცვლილების ზეგავლენა ფულსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებზე		(2,911,867)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	10	38,509,407
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	10	39,009,803

შპს მეტალ ქონსტრაქშენ ჯორჯია

შენიშვნები წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციისთვის - 2021 წლის 31 დეკემბერი

1 კომპანია და მისი ოპერაციები

მოცემული წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადდა იმ მიზნით, რომ დახმარება გაუწიოს შპს მეტალ ქონსტრაქშენ ჯორჯიას („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე („ფასს“) გადასვლაში.

კომპანია დაარსდა 2016 წლის 29 დეკემბერს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც შექმნილია საქართველოს რეგულაციების შესაბამისად და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 416331491.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი მფლობელია Zeus Property Holdings Ltd - კომპანია, რომელიც დაფუძნებულია სეიშელის რესპუბლიკაში. Zeus Property Holdings Ltd-ს საბოლოოდ აკონტროლებდა სამხრეთ აფრიკის მოქალაქე, მონიკა პამელა ვან ზილ (Monica Pamela Van Zyl) 2021 წლის 1 თებერვლამდე. 2021 წლის 1 თებერვლიდან კომპანიას საბოლოოდ აკონტროლებს შარლოტ დოროთი ვან ჰეერდენი (Charlotte Dorothy Van Heerden), სამხრეთ აფრიკის მოქალაქე.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობა შედგება სამი მთავარი მიმართულებისგან: სხვადასხვა სახის ლითონის ნაწარმისა და კონსტრუქციების დემონტაჟი და რეალიზაცია; საწარმოო ობიექტების მშენებლობა და აწყობა და ფეროშენადნობთა პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია. 2021 წლიდან კომპანიამ დაიწყო ფართომასშტაბიანი პროექტი ყაზახეთში, სადაც ააშენა და ექსპლუატაციაში გაუშვა აგლომერაციის ქარხანა და ფეროშენადნობთა ქარხანა. 2022 წელს კომპანიამ შეიძინა ფეროშენადნობთა ქარხანა თბილისში, ორხევის რაიონში და დაიწყო მანგანუმის ფეროშენადნობი პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია (შენიშვნა 23). 2021 წლის განმავლობაში კომპანია ოპერირებდა საქართველოში და ყაზახეთში.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი, გაგარინის ქუჩა N1.

ანგარიშგების წარმოდგენის ვალუტა. მოცემული წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციაში მითითებული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში („GEL“), თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობა საქართველოს ფარგლებში ხორციელდება. საქართველოში აღინიშნება განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლები, მათ შორის, შედარებით მაღალი ინფლაცია და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდის ხშირ ცვლილებებს. საქართველოს აქვს შედარებით სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა და ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა დაბალი გადასახადებითა და რეგულაციებით. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება დიდწილად არის დამოკიდებული მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე - საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად.

2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ოფიციალურად გამოაცხადა Covid-19 პანდემია. პანდემიის გავლენის შეზღუდვის მიზნით, საქართველოს მთავრობამ გაატარა შესაბამისი ზომები და დააწესა გარკვეული შეზღუდვები, როგორცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენებზე შეზღუდვები და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. ამ ზომებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესზე, მათ შორის, კომპანიის საქმიანობაზე. ზოგიერთი ზემოაღნიშნული ზომა შემდგომში შემსუბუქდა. კომპანიის მენეჯმენტმა მიიღო შესაბამისი ზომები, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს პანდემიის ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

2021 წელს საქართველოს ეკონომიკამ დადებითი დინამიკა აჩვენა პანდემიისგან აღდგენაში. ამ ტენდენციას ასევე დაუჭირა მხარი გლობალური ეკონომიკის აღდგენამ და გლობალურ სასაქონლო ბაზრებზე ფასების ზრდამ. თუმცა, საქართველოში და გლობალურ ბაზარზე გარკვეულ ბაზრებზე მაღალი ფასები ასევე ხელს უწყობს საქართველოში ინფლაციას.

მენეჯმენტს არ შეუძლია განჭვრიტოს ყველა ის მოვლენა, რომელსაც შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მათ კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი თვლის, რომ ის იღებს ყველა საჭირო ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

იხილეთ შენიშვნა 23 უახლესი სამუშაო გარემოს შემდგომი განახლებისთვის.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

შპს მეტალ ქონსტრუქშენ ჯორჯია

შენიშვნები წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციისთვის - 2021 წლის 31 დეკემბერი

მომზადების საფუძველი. წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადდა 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, როგორც კომპანიის მიერ ფასს-ის მიღების ნაწილი - ფასს 1-ის მოთხოვნების შესაბამისად: „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველადი მიღება“. ეს წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ისტორიული ღირებულების კონვენციის მოთხოვნების გათვალისწინებით. კომპანიის მიერ ფასს-ზე გადასვლის თარიღი არის 2021 წლის 1 იანვარი. წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია არ შეიცავს შედარებით ინფორმაციას გარდამავალ თარიღამდე პერიოდებისთვის.

წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია გამიზნულია კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული ფასს ფინანსური ანგარიშგების პირველი სრული ნაკრების შედარებით ინფორმაციის შესაქმნელად. შესაბამისად, ეს წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია არ განიხილება, როგორც კომპანიის ანგარიშგების ფასს ფინანსური ანგარიშგების სრული ნაკრები.

როგორც ფასს 1-ით მოითხოვება, ეს წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ფასს-ის საფუძველზე, რომელიც სავარაუდოდ გამოყენებული იქნება 2022 წლის 31 დეკემბერს. თუმცა, ფასს ექვემდებარება მიმდინარე განხილვას ან შესაძლო ცვლილებას ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) და ფასს ინტერპრეტაციების კომიტეტის (IFRS IC) მხრიდან და, შესაბამისად, შესაძლოა, კვლავ შევიდეს მასში ცვლილება. ფასს-ის წინასწარი ფინანსური ინფორმაცია განახლდება და ხელახლა იქნება ფორმულირებული ამგვარი ცვლილებების საჭიროებისას - თუ აღნიშნულს ექნება ადგილი, და ეს მოხდება მანამ, სანამ შედგენილ საბოლოო შედარებით ინფორმაცია კომპანიის ფასს ფინანსურ ანგარიშგების პირველ სრულ კომპლექტში 2022 წლის 31 დეკემბრისთვის.

ამ წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო გაანგარიშებების გამოყენებას. ის აგრეთვე მოითხოვს, რომ ხელმძღვანელობამ მიმართოს საკუთარ შეფასებას ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. უფრო მაღალი ხარისხის შეფასების ან სირთულის სფეროები, ან სფეროები, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ფასს-ის პირველად მიღება. ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანიას არ მოეთხოვებოდა რაიმე ფინანსური ანგარიშგების მომზადება და, შესაბამისად, წარსულში მას არ მოუზადებია ფინანსური ანგარიშგება. ამიტომ, შეჯერება და ახსნა იმისა, თუ როგორ იმოქმედა წინა სააღრიცხვო ჩარჩოდან ფასს-ზე გადასვლამ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ მაჩვენებლებზე და ფულადი სახსრების ნაკადებზე, არ არის წარმოდგენილი ამ წინასწარ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში. ფასს-ზე გადასვლამდე კომპანია აწარმოებდა ჩანაწერებს იმ პოლიტიკის გამოყენებით, რომელიც გარკვეულწილად ეფუძნებოდა საგადასახადო რეგულაციას.

ფასს 1 მოითხოვს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენას ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის და მოიცავს გარკვეულ სავალდებულო გამონაკლისს და არჩევით გამონაკლისებს ფასს-ის რეტროსპექტული გამოყენებისგან. ამ წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

უცხოური ვალუტის გადაყვანა. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია საქმიანობს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (“ლარი”).

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში გადაყვანილ იქნება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსით. სავალუტო მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ტრანზაქციების ანგარიშსწორებით და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოს დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარებულია სპეციალური დანიშნულების წინასწარ ანგარიშგებაში და სხვა ყოვლისმომცველ ანგარიშში. სავალუტო მოგება და ზარალი წარმოდგენილია მოგება-ზარალის წინასწარი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებაში და სხვა სრული შემოსავლის სახით, როგორც „სავალუტო მოგება, წმინდა“. წლის ბოლო განაკვეთებით გადაყვანა არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც ფასდება ისტორიული ღირებულებით. სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები უცხოურ ვალუტაში, მათ შორის კაპიტალის ინვესტიციები, გადაირიცხება სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღის დროს მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით. გაცვლითი კურსის ცვლილებების ეფექტი უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე აღირიცხება, როგორც რეალური ღირებულების მოგება-ზარალი.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)

შპს მეტალ ქონსტრუქშენ ჯორჯია

შენიშვნები წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციისთვის - 2021 წლის 31 დეკემბერი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი („USD“) = 3.0976 ლარი და 1 ევრო („EUR“) = 3.504 ლარი (2021 წლის 1 იანვარი: 1 აშშ დოლარი = 3,2766 ლარი და 1 ევრო = 4,0233 ლარი). ამჟამად ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, საჭიროებისამებრ, დარიცხული სამორტიზაციო ანარეცხებისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. მიმდინარე მშენებლობის („CIP“) კატეგორიაში შედის დეინსტალირებული აღჭურვილობა და მშენებარე აქტივები მომავალი გამოყენებისთვის, როგორც ძირითადი საშუალებები.

შემდგომი ხარჯები გათვალისწინებულია აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია ინდივიდუალურ აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იმის ალბათობა, რომ საგანთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური შედეგები გამოყენებულ იქნება ჯგუფის მიმართ და საგნის ღირებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული. მცირე რემონტისა და ყოველდღიური ტექნიკური მომსახურების ხარჯები ჩამოიწერება მათი გაწევისას. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის ძირითადი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზებულია, ხოლო შეცვლილი ნაწილი - მოცილებული.

ყოველი ანგარიშგების პერიოდის დასასრულს, ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ქონების, მოწყობილობების და აღჭურვილობის გაუფასურების რისკი ნიშნები. ამგვარი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ასანაზღაურებელ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც აქტივის სამართლიანი ღირებულების უმეტესი ოდენობა, მისი გაყიდვის ხარჯებისა და სამომხმარებლო ღირებულების გამოკლებით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად თანხამდე, ხოლო გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღიარებულია წლის მოგებას ან ზარალში. წინა წლებში აქტივისთვის აღიარებული, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი საჭიროებისამებრ იცვლება, თუ ადგილი ჰქონდა გაანგარიშებული პარამეტრების ცვლილებას, რომლებიც გამოიყენება აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით.

მოგება და ზარალი რეალიზაციიდან განისაზღვრება ამონაგების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარებულია წლის მოგებას ან ზარალში სხვა საოპერაციო შემოსავლის ან ხარჯების ნაწილში.

ცვეთა. მიწა, მიმდინარე მშენებლობის ობიექტები და დაუმონტაჟებული მოწყობილობა არ იცვითება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვადასხვა ნაწილებზე ცვეთის დარიცხვა გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა გადანაწილდეს მათი ღირებულება ნარჩენ ღირებულებებზე მათი სავარაუდო სასარგებლო ვადის განმავლობაში:

სასარგებლო გამოყენების ვადა წლების მიხედვით	
შენობები:	20
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	5-13
სატრანსპორტო საშუალებები	5
საოფისი და სხვა ტექნიკა	5

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც კომპანია მიიღებდა ამჟამად აქტივის გასხვისებით, გასხვისების სავარაუდო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე იყო იმ ასაკისა და იმ მდგომარეობაში, რომელიც მოსალოდნელი იყო მისი სასარგებლო ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო ვადები გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის არამატერიალურ აქტივებს აქვს განსაზღვრული სასარგებლო ვადა და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამულ ლიცენზიებს.

შემენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება მათი შემენისა და გამოყენებისთვის გაწეული ხარჯების საფუძველზე. კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი, მაგ.: მისი მოვლა-პატრონობა, იხარჯება საჭიროების დადგომისას.

კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები ამორტიზებულია წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში 1-დან 7 წლამდე. ამორტიზაციის ხარჯები წარმოდგენილია მოგება-ზარალის წინასწარი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებაში და სხვა სრული შემოსავლის - „ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების“ ფარგლებში.

გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება გამოყენების ღირებულებისა და სამართლიანი ღირებულების გამოკლებით.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების გაუფასურება: აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ცვეთას და ამორტიზაციას, მოწმდება გაუფასურებაზე იმ შემთხვევებში, როდესაც არსებულ ვითარებაში განვითარებული მოვლენები ან ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ დაექვემდებაროს ანაზღაურებას. გაუფასურებით გამოწვეულ დანაკარგად აღიარებულია თანხა, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მისი ანაზღაურების ღირებულებას. ანაზღაურების ღირებულება წარმოადგენს აქტივის ყველაზე მაღალ სამართლიან ღირებულებას, ჩამოწერის ხარჯის და გამოყენების დროს მისი ღირებულების გამოკლებით. გაუფასურების შეფასებისთვის აქტივები ჯგუფდება ყველაზე დაბალ დონეებზე, რომელთათვისაც ხდება მნიშვნელოვანწილად დამოუკიდებელი ფულადი სახსრების შემოძენები (ფულადი სახსრების მაგნიტური მთლიანი ერთეულები). არაფინანსური აქტივების წინა გაუფასურებები ანალიზდება შესაძლო ინვერსიაზე ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის მოწესრიგებული გარიგების დროს შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიური ბაზარი არის ბაზარი, რომელშიც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული ტრანზაქციები ხდება საკმარისი სიხშირით და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ფასების შესახებ ინფორმაცია მუდმივ საფუძველზე.

აქტიურ ბაზარზე საბრუნავი ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ფასდება, როგორც ინდივიდუალური აქტივის ან პასივისთვის გამოცხადებული ფასისა და კომპანიის მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ნაშთი. ეს ასე ხდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბაზრის ჩვეულებრივი ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობა არაა საკმარისი არსებული რაოდენობის დასაფარად და დაკვეთების განხორციელებას ერთ გარიგებაში პოზიციის გასაყიდად შეუძლია გავლენის მოხდენა გამოცხადებულ ფასზე.

შეფასების ტექნიკა, როგორცაა, დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი ან ბოლოდროინდელ საბაზრო გარიგებებზე დაფუძნებული მოდელი ან ინვესტირების ობიექტების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება გამოიყენება გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის, რომელთათვისაც გარე ბაზრის ფასების შესახებ ინფორმაცია არაა ხელმისაწვდომი. სამართლიანი ღირებულების შეფასების გაანალიზება ხდება სამართლიან ღირებულებათა იერარქიაში დონის მიხედვით, შემდეგნაირად: (i) პირველი დონე არის შეფასებები გამოცხადებული ფასებით (გაუსწორებელი) აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივების ან ვალდებულებების მიმართ, (ii) მეორე დონე არის შეფასების ტექნიკა ყველა მატერიალური ხარჯით, რომელიც ფიქსირდება აქტივისთვის ან პასივისთვის, პირდაპირ (ანუ, ფასების სახით) ან ირიბად (ანუ, ფასებიდან გამომდინარე) და (iii) მესამე დონის შეფასებები წარმოადგენს შეფასებებს, რომლებიც არაა დაფუძნებული მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებზე (ანუ, შეფასება საჭიროებს მნიშვნელოვან არა-დაკვირვებად საწყის მონაცემებს). სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადარიცხვები განხორციელებულად ითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. იხილეთ შენიშვნა 21.

ტრანზაქციის ხარჯები არის დამატებითი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გაცემას ან განკარგვას. დამატებითი ღირებულება არის ის, რაც არ იქნებოდა გაწეული, რომ არ განხორციელებულიყო ტრანზაქცია. საოპერაციო ხარჯები მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც სავაჭრო აგენტების ფუნქციას ასრულებენ), მრჩეველებისთვის, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარებსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟების მიერ დაწესებულ მოსაკრებლებს და გადაცემასთან დაკავშირებულ გადასახადებსა და მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯები არ მოიცავს სასესიო პრემიებს ან დისკონტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება („AC“) არის აქტივები, რომლებიც ინახება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად, სადაც ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდას და ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. ამ ფინანსური აქტივებიდან საპროცენტო შემოსავალი შედის ფინანსურ შემოსავალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება აღიარების შეწყვეტისას, აღიარებულია უშუალოდ მოგებაში ან ზარალში და წარმოდგენილია სხვა მოგებაში/(ზარალში) სავალუტო მოგება-ზარალთან ერთად. გაუფასურების ზარალი წარმოდგენილია ცალკე პუნქტის სახით მოგება-ზარალის წინასწარი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს შესაბამისი პერიოდის განმავლობაში დარიცხული პროცენტებიდან მიღებული შემოსავალი და დარიცხული პროცენტების ხარჯის განაწილების მეთოდს, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღწევად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს გაანგარიშებული სამომავლო ნაღდი ფულის გადახდების ან მიღების დისკონტირებას (სამომავლო საკრედიტო ზარალის გამოკლებით), ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროებისამებრ, ფინანსური ინსტრუმენტის მთლიან საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მოძრაობის დისკონტირებას პროცენტის მომდევნო ფასების გადახედვის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან დისკონტისა, რომელიც ასახავს საკრედიტო მარჟას ინსტრუმენტში მითითებული არაფიქსირებული განაკვეთით ან სხვა ცვალებადი მაჩვენებლებისა, რომლებიც არაა გადაყვანილი საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიებისა ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი მოსალოდნელი ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა მოსაკრებელს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები FVTPL-ში თავდაპირველად ფიქსირდება სამართლიანი ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად ფიქსირდება სამართლიანი ღირებულებით პლიუს საოპერაციო ხარჯები. სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას საუკეთესოდ დასტურდება გარიგების ფასით. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას ფიქსირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გაყიდვის ფასს შორის არსებობს სხვაობა, რაც შეიძლება დადასტურდეს სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციებით იმავე ინსტრუმენტში ან შეფასების ტექნიკით, რომლის საწყისი მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ხდება ECL რეზერვის აღიარება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც ფასდება ამორტიზაციის ღირებულებით და ინვესტიციებისთვის დებიტორულ ინსტრუმენტებში, რომლებიც ფასდება FVOCI-თ, რაც იწვევს დაუყოვნებლივ ფინანსურ ზარალს.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები. ჯგუფი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს შეფასების შემდეგი კატეგორიებით: FVTPL, FVOCI და AC. დებიტორული ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) ჯგუფის ბიზნეს-მოდელზე, დაკავშირებული აქტივების პროტფელის მართვისთვის და (ii) აქტივის ფულადი ნაკადის მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ბიზნეს-მოდელი. ბიზნეს მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს ჯგუფი აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოქმნის მიზნით - მიუხედავად იმისა, არის თუ არა ჯგუფის მიზანი: (i) აქტივებისგან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება ("ფლოზზელობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვების მიზნით") ან (ii)) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, ისე იმ ფულადი ნაკადების შეგროვება, რომლებიც წარმოიქმნება აქტივების გაყიდვიდან ("ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვების მიზნით და გაყიდვა"), ან, თუ არც (i) და არც (ii) არ გამოიყენება, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც "სხვა" ბიზნეს-მოდელის ნაწილი და იზომება FVTPL-ით.

ბიზნესის მოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) მოქმედებების ყველა იმ შესაბამისი მტკიცებულების საფუძველზე, რომლებსაც ჯგუფი ახორციელებს შეფასების თარიღისთვის ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნის მისაღწევად.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ფულადი ნაკადის მახასიათებლები. თუ ბიზნეს-მოდელის აქტივების ფლობის მიზანი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვებაა, ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ფლობა და გაყიდვა, ჯგუფი აფასებს, წარმოადგენს თუ არა ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს („SPPI“). წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიანი ფინანსური აქტივები განიხილება მთლიანობაში, როდესაც დგინდება თუ რამდენად შეესაბამება მათი ფულადი სახსრები SPPI ფუნქციებს. ამ შეფასების განხორციელებისას, კომპანია ითვალისწინებს, შეესაბამება თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები ძირითად საკრედიტო შეთანხმებებს, ანუ პროცენტი მოიცავს მხოლოდ საკრედიტო რისკის, ფულის დროითი ღირებულების, სხვა ძირითადი საკრედიტო რისკებისა და მოგების მარჟის გათვალისწინებას.

თუ სახელშეკრულებო პირობები ქმნის რისკის ან არასტაბილურობის საფრთხეს, რაც არ შეესაბამება თანხის ძირითადი სესხის შეთანხმებებს, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და იზომება FVTPL-ში. SPPI-ს შეფასება ხორციელდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდგომში არ ხდება მისი გადაფასება.

ფინანსური აქტივები - რე-კლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტების რე-კლასიფიცირება ხდება მხოლოდ პორტფელის მართვის მოდელის მთლიანად შეცვლის შემთხვევაში. რე-კლასიფიკაციას აქვს სავარაუდო ეფექტი და ხორციელდება პირველი საანგარიშო პერიოდის დასაწყისიდან, რომელიც მოსდევს ბიზნეს-მოდელის ცვლილებას. კომპანიას არ შეუძლია თავისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შედარებითი პერიოდის განმავლობაში და არ განუხორციელებია რე-კლასიფიკაციები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - საკრედიტო ზარალის რეზერვი ECL-სთვის. კომპანია მომავალზე ორიენტირებულ საფუძველზე აფასებს ECL-ს სასესხო ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეფასებულია AC და FVOCI-ზე და სასესხო ვალდებულებებიდან და ფინანსური გარანტიის კონტრაქტებიდან წარმოქმნილი ზემოქმედების გათვალისწინებით სახელშეკრულებო აქტივებისთვის. კომპანია აფასებს ECL-ს და აღიარებს ფინანსურ და სახელშეკრულებო აქტივებზე წმინდა გაუფასურების ზარალს ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. ECL-ის შეფასება ასახავს: (i) მიუკერძოებელ და სავარაუდო შეწონილ თანხას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით, (ii) ფულის დროულ ღირებულებას და (iii) ყველა გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ზედმეტი ხარჯებისა და ძალისხმევების გარეშე ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო პირობების პროგნოზების შესახებ.

სასესხო ინსტრუმენტები, რომლებიც შეფასებულია AC-ით, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებით, გაცემული სესხები და კონტრაქტის აქტივები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის წინასწარ სპეციალურ ანგარიშგებაში ECL-ის რეზერვის გარეშე. სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიებისთვის, ECL-ის ცალკეული რეზერვი აღიარებულია, როგორც ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის წინასწარ სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებაში. სასესხო ინსტრუმენტებისთვის FVOCI-ში, ამორტიზებული ღირებულების ცვლილებები, მინუს ECL-ის რეზერვი, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, ხოლო სხვა ცვლილებები საბალანსო ღირებულებაში აღიარებულია OCI-ში, როგორც მოგება, მინუს ზარალი სავალო ინსტრუმენტებზე FVOCI-ში.

შპს მეტალ ქონსტრუქშენ ჯორჯია

შენიშვნები წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციისთვის - 2021 წლის 31 დეკემბერი

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, რომელიც, თავის მხრივ, იყენებს მოქმედების განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის რეზერვს ყველა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისა და გაცემული სესხებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად სავაჭრო დებიტორული დავალიანება ჯგუფდება საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები ეფუძნება გაყიდვების გადახდის პროფილებს 2021 წლის 31 დეკემბრამდე ან 2021 წლის 1 იანვრამდე 24 თვის განმავლობაში, შესაბამისად და შესაბამისი ისტორიული საკრედიტო ზარალი, რომელიც განიცადა ამ პერიოდში. ისტორიული ზარალის კოეფიციენტები კორექტირებულია იმისთვის, რომ ასახოს მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული ინფორმაცია მაკროეკონომიკური ფაქტორების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ კლიენტების უნარზე დებიტორული დავალიანების გადახდის კუთხით. კომპანიამ CPI და იმ ქვეყნების სავალუტო კურსი, რომლებშიც ის ყიდის თავის საქონელს და მომსახურებას, დაადგინა, როგორც ყველაზე რელევანტური ფაქტორი და შესაბამისად არეგულირებს ისტორიული ზარალის განაკვეთებს ამ ფაქტორების მოსალოდნელ ცვლილებებზე დაყრდნობით.

ფინანსური აქტივები - ჩამოწერა. ფინანსური აქტივები ჩამოიწერება მთლიანად ან ნაწილობრივ, როდესაც კომპანია ამოწურავს აღდგენის ყველა პრაქტიკულ მცდელობას და ასკვნის, რომ არ არსებობს აღდგენის გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების გაუქმების მოვლენას. კომპანიას შეუძლია ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომლებიც კვლავ ექვემდებარება სააღსრულო საქმიანობას როდესაც კომპანია ცდილობს გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხები, თუმცა, არ არსებობს აღდგენის გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - ბალანსიდან ჩამოწერა. კომპანია ბალანსიდან ჩამოწერს ფინანსურ აქტივებს, როდესაც (ა) აქტივები იქნება გამოსყიდული ან აქტივებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე უფლებების ვადა სხვაგვარად ამოიწურება ან (ბ) კომპანია გადასცემს უფლებებს ფინანსური აქტივებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე ან დადებს საკვალიფიკაციო სატრანზიტო შეთანხმებას, ამავდროულად (i) აქტივების საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და უპირატესობის არსებითად გადაცემით ან (ii) საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და უპირატესობის გადაცემისა და შენარჩუნების გარეშე, მაგრამ კონტროლის შენარჩუნების გარეშე.

კონტროლის შენარჩუნება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარეს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა მიჰყიდოს აქტივი მთლიანად არადაკავშირებულ მესამე მხარეს, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

ფინანსური აქტივები - მოდიფიკაცია. ზოგჯერ კომპანია ახორციელებს ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობების გადახედვას ან სხვაგვარ მოდიფიცირებას. შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით, კომპანია აფასებს, არსებითია თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიკაცია: ნებისმიერი ახალი სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს აქტივის რისკის პროფილზე (მაგალითად, მოგების წილი ან კაპიტალზე დაფუძნებული შემოსავალი), მნიშვნელოვანი ცვლილება საპროცენტო განაკვეთში, ცვლილება ვალუტის დენომინაციაში, ახალი უზრუნველყოფა ან კრედიტის გაზრდა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივთან ასოცირებულ კრედიტის რისკზე ან კრედიტის მნიშვნელოვნად გახანგრძლივება, როდესაც მსესხებელი არ განიცდის ფინანსურ სირთულეებს.

თუ შეცვლილი პირობები არსებითად განსხვავებულია, თავდაპირველი აქტივიდან ფულადი სახსრების მოძრაობის უფლება იწურება, კომპანია წყვეტს თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას და აღიარებს ახალ აქტივს მისი სამართლიანი ღირებულებით. ხელშეკრულება გადახედვის თარიღად ითვლება საწყისი აღიარების თარიღი გაუფასურების გაანგარიშების შემდგომი მიზნებისათვის, მათ შორის იმის განსაზღვრისთვის, ჰქონდა თუ არა ადგილი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას (SICR). კომპანია ასევე აფასებს, აკმაყოფილებს თუ არა ახალი სესხი ან სასესხო ინსტრუმენტი მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) კრიტერიუმს. ნებისმიერი სხვაობა აღიარება-შეწყვეტილი საწყისი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალი, არსებითად მოდიფიცირებული აქტივის სამართლიან ღირებულებას შორის, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვაობა განეკუთვნება მფლობელებთან გარიგებას კაპიტალთან დაკავშირებით.

იმ შემთხვევაში, როდესაც გადახედვა განპირობებული იქნა მეორე მხარის ფინანსური სირთულეებისა და თავდაპირველად შეთანხმებული გადახდების განხორციელების შეუძლებლობის გამო, კომპანია ადარებს თავდაპირველ და შესწორებულ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს აქტივებთან, რათა განსაზღვროს აქტივის რისკები და სარგებელი არსებითად განსხვავდება თუ არა ერთმანეთისგან სახელშეკრულებო მოდიფიკაციის გამო. ხელშეკრულების მოდიფიკაცია. თუ რისკები და სარგებელი არ იცვლება, შეცვლილი აქტივი არსებითად არ განსხვავდება თავდაპირველი აქტივისაგან და მოდიფიკაცია არ იწვევს აღიარების შეწყვეტას. კომპანია ახდენს მთლიანი საბალანსო ღირებულების გადაანგარიშებას შეცვლილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დისკონტირების საშუალებით თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ან კრედიტის გათვალისწინებით კორექტირებული საპროცენტო განაკვეთით POCI ფინანსური აქტივებისთვის) და აღიარებს მოდიფიკაციით განპირობებულ სარგებელს ან ზარალს მოგებას ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები - შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც შემდგომში AC- ს მიხედვით შეფასებული, გარდა (i) ფინანსური ვალდებულებების FVTPL-ში: აღნიშნული კლასიფიკაცია გამოიყენება დერევატივებისთვის, ვაჭრობისთვის დაკავებულ ფინანსური ვალდებულებებისთვის (მაგალითად, ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიციები), შემსყიდველის მიერ ბიზნეს-კომბინაციაში აღიარებული პირობითი ანაზღაურებისთვის და სხვა ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ამგვარადაა დადგენილი თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებებისა და სესხის ვალდებულებებისა.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა ხდება მათი ამოწურვისას

შპს მეტალ ქონსტრუქშენ ჯორჯია

შენიშვნები წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციისთვის - 2021 წლის 31 დეკემბერი

(ანუ როცა ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულებულია, გაუქმებულია ან იწურება).

ვალდებულებების ცვლილებები, რომლებიც არ იწვევს დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება კუმულაციური დაგროვების მეთოდის გამოყენებით, ნებისმიერი მოგება ან ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ არის აღიარებული საბალანსო ღირებულების ეკონომიკური სხვაობა მფლობელებთან კაპიტალის გარიგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთჩათვლას ექვემდებარება და წმინდა თანხა დაფიქსირდება მხოლოდ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არსებობს აღიარებული თანხების ჩათვლის იურიდიულად დაცული უფლება და არსებობს ურთიერთჩათვლის განხორციელების ან ერთდროულად აქტივის გაყიდვისა და ვალდებულების დაფარვის განზრახვა. ამგვარი ჩათვლის უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიული ძალა უნდა ჰქონდეს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი საქმიანობისას, (ii) მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში და (iii) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ნაღდ ფულს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან მაღალ-ლიკვიდურ ინვესტიციებს თავდაპირველი დაფარვის ვადით სამი თვე ან ნაკლები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფასდება ამორტიზაციის ღირებულებით (AC), რადგან: (i) ისინი იმართება სახელშეკრულებო ფულადი სახსრების ნაკადების შეგროვებისთვის და ეს ფულადი სახსრების ნაკადები წარმოადგენს SPPI-ს, და (ii) ისინი არ არის მითითებული FVTPL-ში. მხოლოდ ისეთი კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციები, როგორიცაა რესტრუქტურისაციის შესახებ კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, არ ახდენს გავლენას SPPI ტესტზე, შემდგომი ცვლილებების შემთხვევაშიც.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში ფასდება ამორტიზაციის ღირებულებით (AC), ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (იხილეთ შემდგომი პოლიტიკა ამ კუთხით სექციაში „ფინანსური აქტივების გაუფასურება - საკრედიტო ზარალის რეზერვი ECL-სთვის“ მე-3 შენიშვნაში).

სავაჭრო და სხვა საკრედიტო დავალიანება. სავაჭრო საკრედიტო დავალიანების დარიცხვა ხდება, როცა მეორე მხარე შესრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ თავის მოვალეობებს და როცა ეს დავალიანება თავდაპირველად აღიარებულ იქნება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში აისახება ამორტიზაციის ღირებულებით (AC), ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო საკრედიტო დავალიანება არაუზრუნველყოფილია და ჩვეულებრივ იხდიან აღიარებიდან 30 დღის განმავლობაში.

სავაჭრო საკრედიტო დავალიანების თანხები განიხილება როგორც მათი რეალური ღირებულება, მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო.

საოპერაციო იჯარა. როდესაც კომპანია არის გამქირავებელი, რომელიც არ გადასცემს მოიჯარეს საკუთრებაში არსებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს (ანუ საოპერაციო იჯარა), საოპერაციო იჯარიდან მიღებული იჯარის გადახდა აღიარებულია, როგორც სხვა შემოსავალი წრფივი მეთოდით. იჯარის მოდიფიკაცია მეიჯარის მიერ აღირიცხება, როგორც ახალი იჯარა ცვლილების ძალაში შესვლის თარიღიდან, რა დროსაც გაითვალისწინება ნებისმიერი წინასწარ გადახდილი ან დარიცხული იჯარა, რომელიც ეხება თავდაპირველ იჯარას, როგორც ახალი იჯარის საიჯარო გადახდების ნაწილს.

საშემოსავლო გადასახადები. საშემოსავლო გადასახადები გათვალისწინებულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში ანგარიშგების პერიოდის დასასრულს ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ შეიტანა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელთა მიხედვითაც კომპანიებს (გარდა ბანკებისა, საკრედიტო კავშირებისა, სადაზღვეო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ მოუწევთ მოგებაზე საშემოსავლო გადასახადის გადახდა 2017 წლის 1 იანვრიდან, სანამ აღნიშნული მოგება განაწილებულია ან ითვლება განაწილებულად დივიდენდის ფორმით. საშემოსავლო გადასახადის 15% გადახდა ხდება მთლიან ღირებულებაზე (ე.ი. წმინდა დივიდენდები გაერთიანებული უნდა იქნას 5% დაკავებული გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაყოფილი იქნას 0.85-ზე), ფიზიკური პირებისთვის და არა-რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდების გადახდის მომენტში. 2021 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებული მოგებიდან რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადახდილი დივიდენდები გათვალისწინებულია გადასახადებისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 იანვრამდე პერიოდში მიღებულ შემოსავალზე დარიცხული დივიდენდები ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადის დარიცხვას მთლიან ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც გამოცხადებული ან დასაბეგრ მოგებაზე გადახდილი კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის წილი იმავე პერიოდის ჯამურ წმინდა მოგებასთან შედარებით, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის თანხა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილებაზე დაკისრებულ ფაქტიურ საშემოსავლო გადასახადს.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)

დივიდენდების განაწილებიდან გამომდინარე საშემოსავლო გადასახადი აღირიცხება საშემოსავლო გადასახადის ხარჯის სახით იმ პერიოდში, როცა გამოცხადდება დივიდენდები, განურჩევლად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან პერიოდისა,

რომლისთვისაც ხდება დივიდენდების გადახდა. დივიდენდების განაწილებასთან ერთად, გადასახადი ექვემდებარება გადახდას გაწეულ ხარჯებსა და სხვა გადახდილ თანხებზე, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივებისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა საავანსო თანხა, გადახდილი კომპანიებისთვის, რომლებიც რეგისტრირებულია იმ იურისდიქციებში, რომლებსაც შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი აქვთ და სხვა გარკვეული ოპერაციები ამგვარ კომპანიებთან, ასევე ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტებისთვის გაცემული სესხები დაუყოვნებლივ იბეგრება. ამგვარი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლისგანაც გაქვითულია საგადასახადო შეღავათები, რომლებიც მოთხოვნილია აქტივებზე ან იმ კომპანიებისთვის გადახდილი საავანსო თანხების სანაცვლოდ მიღებულ მომსახურებაზე, რომლებიც რეგისტრირებულია იმ იურისდიქციებში, რომლებსაც შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი აქვთ ან ფიზიკური პირებისა ან არარეზიდენტებისთვის გაცემული სესხების დაბრუნება ფიქსირდება გადასახადებში, გარდა საშემოსავლო გადასახადისა საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის გაურკვეველი საგადასახადო პოზიციების ხელახალი შეფასება ხდება ხელმძღვანელობის მიერ ყოველი ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ. ვალდებულებები ფიქსირდება საშემოსავლო გადასახადის პოზიციებისთვის, რომლებიც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომლებიც მეტი ალბათობით გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას, თუ პოზიციები ექვემდებარება უნდა ყოველიყო დაყენებული საგადასახადო ორგანოების მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედებულია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების პერიოდის დასასრულს და ამგვარ საკითხებზე სასამართლოს ან ნებისმიერ სხვა ცნობილ გადაწყვეტილებას. პასუხისმგებლობა ჯარიმებზე, პროცენტსა და გადასახადებზე, გარდა საშემოსავლო გადასახადისა, აღიარებულია ანგარიშგების პერიოდის დასასრულს ვალდებულებების დასაფარად საჭირო დანახარჯების ხელმძღვანელობის საუკეთესო გაანგარიშებაზე დაყრდნობით. გაურკვეველი საშემოსავლო პოზიციების კორექტირებები ფიქსირდება საშემოსავლო გადასახადის ნაწილში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გამომავალი დღგ - გამომუშავებული ელექტროენერგიის გაყიდვა და გარანტირებული სიმძლავრის მიწოდება თავისუფლდება დღგ-სგან, გარდა პირდაპირი მომხმარებლისთვის მიწოდებისა, რომელიც იბეგრება 18%-ით და გადასახდელია (ა) მომხმარებელთაგან დებიტორული დავალიანების შეგროვებამდე ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდების მომხმარებლისთვის. შემავალი დღგ, როგორც წესი, ანაზღაურდება გამომავალი დღგ-დან დღგ-ს ინვოისის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ანგარიშსწორებას წმინდა საფუძველზე.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები მითითებულია ღირებულებასა და რეალიზაციის წმინდა ღირებულებას შორის უმცირესი ოდენობით. ინვენტარიზაციის ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მნიშვნელობის საფუძველზე. მზა პროდუქციის ღირებულება მოიცავს შესყიდვის ხარჯებსა და შესყიდვის ფასს, საიმპორტო მოსაკრებელსა და სხვა აუნაზღაურებელ გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დამუშავების ხარჯებს და ნებისმიერ სხვა პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს, სავაჭრო ფასდაკლებების, შეღავათებისა და მსგავსის გამოკლებით, რომელიც გაწეულია სასაქონლო-მატერიალური მარაგების მიტანისას მათ ამჟამინდელ ადგილსა და მდგომარეობაში. ყოველი ანგარიშგების თარიღისას, ხდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება გაუფასურებაზე. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის გაყიდვის სავარაუდო ფასი ბიზნესის ჩვეულ მსვლელობისას, დასრულების და გაყიდვის ხარჯების სავარაუდო ღირებულების გამოკლებით.

წინმსწრები გადახდები. წინმსწრები გადახდები ხორციელდება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. წინმსწრები გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც არა-მიმდინარე, თუ წინმსწრები გადახდასთან დაკავშირებული საქონლისა ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ ან თუ წინმსწრები გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავად იქნება კლასიფიცირებული, როგორც არა-მიმდინარე, თავდაპირველი აღიარებისას. წინმსწრები გადახდები აქტივების შესაძენად გადარიცხება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის მიღების შემდეგ და არსებობს იმის ალბათობა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური პრივილეგიები მიენიჭება ჯგუფს. სხვა წინმსწრები გადახდების ჩამოწერა ხდება მოგებასა ან ზარალზე, როცა მიღებულია წინმსწრები გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ წინმსწრები გადახდებთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, წინმსწრები გადახდის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოწერილია, ხოლო გაუფასურებით გამოწვეული შესაბამისი ზარალი აღიარებულია წლის მოგებას ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის გამოცხადებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის პარტნიორების მიერ. ცვლილებები კომპანიის გამოცხადებულ კაპიტალში შეტანილ იქნება მხოლოდ კომპანიის პარტნიორის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები ფიქსირდება დავალიანების სახით და იქვითება საკუთარი კაპიტალიდან იმ პერიოდში, როცა ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ანგარიშგების პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად უფლებამოსილების მინიჭებამდე გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი მითითებულია შემდგომ მოვლენათა შენიშვნაში (შენიშვნა 23).

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)

რეზერვები ვალდებულებებისა და დარიცხვებისთვის. ვალდებულებებისა და დარიცხვების რეზერვები წარმოადგენს განუსაზღვრელი დროის და ოდენობის არა-ფინანსური ხასიათის ვალდებულებებს. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც

შპს მეტალ ქონსტრუქშენ ჯორჯია

შენიშვნები წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციისთვის - 2021 წლის 31 დეკემბერი

ჯგუფს აქვს მიმდინარე იურიდიული ან პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება, არსებობს ალბათობა იმისა, რომ ვალდებულებების დასაფარად საჭირო გახდება ეკონომიკური სარგებლის მომცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის საიმედო შეფასების განხორციელება. რეზერვები ფასდება ხარჯების მიმდინარე სიდიდით, რომელთა გაღებაც მოსალოდნელია, რომ საჭირო გახდება ვალდებულების დასაფარად გადასახადის გადახდამდე განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს.

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი წარმოადგენს ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის დროს შემოძინებულ თანხას. შემოსავალი აღიარებულია გარიგების ფასის ოდენობით. გარიგების ფასი არის იმ ანაზღაურების ოდენობა, რომლის მიღების უფლებას ჯგუფი ვარაუდობს მომხმარებლისთვის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლის გადაცემის სანაცვლოდ, მესამე მხარეების სახელით შეგროვებული თანხების გამოკლებით.

შემოსავლის აღიარება ხდება ფასდაკლებების, დაბრუნებისა და დამატებული ღირებულების გადასახადების, ექსპორტის გადასახადების, აქციზის და სხვა მსგავსი სავალდებულო გადასახადების გამოკლებით.

საქონლის გაყიდვები. გაყიდვების აღიარება ხდება საქონელზე კონტროლის გადაცემის მომენტში, როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს ან გადამზიდავს, მომხმარებელს აქვს საქონლის სრულად განკარგვის უფლება, და არ არსებობს შეუსრულებელი ვალდებულება, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. საქონელი ითვლება ადგილზე მიტანილად, როდესაც საქონელი ტრანსპორტირებულია კონკრეტულ ადგილზე ან მიწოდებულია გადამზიდავისთვის, შეფერხებისა და ზარალის რისკი გადაცემულია მომხმარებლისთვის, ან როდესაც მომხმარებელმა მიიღო საქონელი ხელშეკრულების შესაბამისად, მიღების შესახებ დებულებებმა ძალა დაკარგა, ან ჯგუფს აქვს ობიექტური მტკიცებულება, რომ მიღების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

არ ითვლება რომ წარმოდგენილია დაფინანსების ელემენტი, ვინაიდან გაყიდვები ხორციელდება 10-დღიანი ვადის მქონე საკრედიტო პერიოდში, რაც შეესაბამება საბაზრო პრაქტიკას. დებიტორული დავალიანების აღიარება ხდება ტვირთის მიწოდებისას, რადგან ეს არის დროის მომენტი, როდესაც ანაზღაურება უპირობოა, რადგან გადახდის ვადის დადგომას მხოლოდ დრო აშორებს.

შემოსავალი სამშენებლო ხელშეკრულებიდან. კომპანია ახორციელებს სამშენებლო მომსახურებას ფიქსირებული ფასის მქონე ხელშეკრულებებით. კომპანია დროთა განმავლობაში გადასცემს სამშენებლო სერვისზე კონტროლს და, შესაბამისად, ასრულებს აღებულ ვალდებულებას დროთა განმავლობაში, სამშენებლო მომსახურების მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც მომსახურება გაწეულია. სამშენებლო მომსახურებიდან შემოსავალი აღიარებულია საანგარიშო პერიოდის ბოლომდე მიწოდებული ფაქტობრივი მომსახურების საფუძველზე, როგორც მთლიანი მომსახურების პროპორცია, რადგან მომხმარებელი იღებს და იყენებს სარგებელს ერთდროულად. ეს განისაზღვრება შემავალ მეთოდებზე დაყრდნობით, რათა შეფასდეს საწარმოს პროგრესი შესრულების ვალდებულების სრულად დაკმაყოფილების კუთხით. შემავალი მეთოდები აღიარებს შემოსავალს საწარმოს ძალისხმევის ან შესრულების ვალდებულების შესასრულებლად შეტანილი წვლილის საფუძველზე, ამ შესრულების ვალდებულების დასაკმაყოფილებლად მთლიან მოსალოდნელ შენატანებთან შედარებით. თუ შესრულების ვალდებულება დროთა განმავლობაში არ დაკმაყოფილებია, შემოსავალი აღიარდება დროის იმ მომენტში, როდესაც კომპანია ასრულებს შესრულების ვალდებულებას.

გარემოებების შეცვლის შემთხვევაში გადაიხდება შემოსავლების, ხარჯების ან პროგრესის მიღწევის შეფასებები. სავარაუდო შემოსავლების ან ხარჯების ნებისმიერი ზრდა ან შემცირება აისახება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც ხსენებულ გადახედვას განაპირობებს, ცნობილი გახდება ხელმძღვანელობისთვის

ფიქსირებული ფასიანი ხელშეკრულებების შემთხვევაში მომხმარებელი იხდის ფიქსირებულ თანხას გადახდის გრაფიკის მიხედვით. თუ კომპანიის მიერ გაწეული მომსახურება აღემატება გადახდას, ხელშეკრულების აქტივი აღიარებულია. თუ გადახდები აღემატება გაწეულ მომსახურებას, აღიარებულია სახელშეკრულებო ვალდებულება.

დაფინანსების კომპონენტები. კომპანია არ მოელის რაიმე კონტრაქტის გარომებას, სადაც პერიოდი დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემასა და მომხმარებლის მიერ გადახდას შორის ერთ წელს აღემატება. შედეგად, კომპანია არ არეგულირებს არც ერთ ტრანზაქციის ფასს ფულის დროის ღირებულებით.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები. ფინანსური შემოსავალი და ხარჯები მოიცავს საპროცენტო ხარჯებს სესხებზე, გაცემულ სესხებზე საპროცენტო შემოსავალს, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხულ პროცენტს და სავალუტო მოგებასა და ზარალს, რომელიც დაკავშირებულია სესხებთან და ფულად და ფულადი სახსრების ეკვივალენტებთან.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)

ანაზღაურებები თანამშრომელთათვის. ხელფასი, საქართველოს საპენსიო ფონდში შესატანი თანხები, წლიური შვებულებისა და ბიულეტენის თანხა, ზონუსები და არაფულადი ბენეფიტები ირიცხება იმ წლის განმავლობაში, რომელშიც ხდება კომპანიის შესაბამისი თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურების გაწევა. კომპანიას არ აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება პენსიის ან მსგავსი დახმარების გადახდაზე, გარდა კანონით დადგენილი შენატანების სქემის გადასახადებისა. 2019 წლის 1 იანვრიდან კომპანიას აქვს კანონიერი ვალდებულება, განახორციელოს საპენსიო შენატანი თანამშრომელთა მთლიანი ხელფასისა და შეღავათების 2%-ის ოდენობით.

ფინანსური ანგარიშების შესწორება მათი გამოშვების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება ამ ფინანსურ ანგარიშებში გამოშვების შემდეგ საჭიროებს ჯგუფის ხელმძღვანელობის თანხმობას, რომელიც ანიჭებს უფლებამოსილებას ამ ფინანსური ანგარიშების გამოშვებაზე.

4. კრიტიკული საბუღალტრო გაანგარიშებები და მსჯელობები ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს გაანგარიშებებსა და ვარაუდებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშებში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და პასივების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. გაანგარიშებები და მოსაზრებები მუდმივად ფასდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, სამომავლო მოვლენების მოლოდინების ჩათვლით, რომლებიც მიჩნეულია გონივრულად მოცემულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე გამოთქვამს გარკვეულ მოსაზრებებს, გარდა იმისა, რაც მოიცავს გაანგარიშებებს, ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენების პროცესში. მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშებში აღიარებულ თანხებზე და გაანგარიშება, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშებში აღიარებულ ოდენობებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს შემდეგს:

დასრულების ეტაპი. კომპანია განსაზღვრავს, როდის შესრულდება ვალდებულებები და ამგვარად, აღიარებს სამშენებლო შემოსავალს დღემდე შესრულებული სამუშაოსთვის გაწეული ხელშეკრულების დანახარჯების პროპორციიდან გამომდინარე, ხელშეკრულების მთლიან დანახარჯებთან მიმართებაში. ხელმძღვანელობა აფასებს ხელშეკრულების დასრულების ეტაპს ანგარიშგების თარიღისთვის გაწეული ფაქტორები ღირებულებისა და გასაწევი მთლიანი ღირებულების შეფასებით, რომელიც გამოითვლება მთელი ხელშეკრულების ბოლო სავარაუდო ბიუჯეტის საფუძველზე.

ძირითადი საწარმოო საშუალებებისა და მოწყობილობის ექსპლუატაციის ვადა. ძირითადი საწარმოო საშუალებებისა და მოწყობილობის ექსპლუატაციის ვადის გაანგარიშება განხილვის საგანს წარმოადგენს მსგავსი აქტივებით გამოცდილებაზე დაყრდნობით. აქტივებთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენების საშუალებით ხორციელდება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ ექსპლუატაციის ვადას აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ სავარაუდო პერიოდის შესაბამისად, რომელშიც მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანს ჯგუფს. გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება;

თუ სავარაუდო ექსპლუატაციის ვადები 10%-ით განსხვავდება ხელმძღვანელობის გაანგარიშებებისგან, ზემოქმედება ამორტიზაციაზე 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, იქნება მისი გაზრდა/შემცირება 2- ათასი ლარით.

არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება. ყოველი ბალანსის შედგენის თარიღისთვის კომპანია აფასებს, არის თუ არა სახეზე რაიმე მითითება, რომლის მიხედვითაც კომპანიის აქტივების ანაზღაურებადი თანხა შემცირდა საბალანსო ღირებულების ქვემოთ. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობამ განიხილა ყველა შესაბამისი შიდა და გარე ფაქტორი და დაასკვნა, რომ არ არსებობს გაუფასურების მაჩვენებელი და შედეგად, გაუფასურების ტესტი არ ჩატარებულა კომპანიის არა-ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით.

დაკავშირებული მხარის ტრანზაქციების პირველადი აღიარება. საქმიანობაში კომპანია ჩვეულებრივ ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოთხოვნის ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებების საფუძველზე. მსჯელობები გამოიყენება იმის დასადგენად, არის თუ არა ტრანზაქციების ფასი საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით, სადაც არ არსებობს ასეთი ტრანზაქციის აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველია არა-დაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ტრანზაქციების ფასწარმოქმნა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი. დაკავშირებული მხარეების ნაშთების პირობები მოცემულია მე-6 შენიშვნაში.

4 კრიტიკული საბუღალტრო გაანგარიშებები და მსჯელობები ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

მოქმედი კომპანია. ხელმძღვანელობამ წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მოამზადა მიმდინარე საქმიანობის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაკმაყოფილებას ბიზნესის ნორმალური მსვლელობისას. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული ვითარების ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

ECL შეფასება. კომპანია მომავალზე ორიენტირებული საფუძველით აფასებს ECL-ს სასესხო ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეფასებულია AC და FVOCI-ზე და სასესხო ვალდებულებებიდან და ფინანსური გარანტიის კონტრაქტებიდან წარმოქმნილი ზემოქმედებისთვის, სახელშეკრულებო აქტივებისთვის. კომპანია აფასებს ECL-ს და აღიარებს ფინანსურ და სახელშეკრულებო აქტივებზე წმინდა გაუფასურების ზარალს ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. ECL-ის შეფასება ასახავს: (i) მიუკერძოებელ და სავარაუდო შეწონილ თანხას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით, (ii) ფულის დროის ღირებულება და (iii) ყველა გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ზედმეტი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო პირობების პროგნოზების შესახებ.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას, რომელიც იყენებს მოქმედების მანძილზე მოსალოდნელი ზარალის რეზერვს ყველა სავაჭრო დვალიანებაზე; მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით (დებიტორული დავალიანება შეიძლება დაჯგუფდეს გეოგრაფიული რეგიონის, პროდუქტის ტიპის, მომხმარებლის რეიტინგის, გირაოს ან სავაჭრო საკრედიტო დაზღვევის მიხედვით).

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები ეფუძნება გაყიდვების გადახდის პროფილებს ბოლო თვეების პერიოდში და შესაბამისი ისტორიული საკრედიტო ზარალის მიხედვით, რომელიც მოხდა ამ პერიოდში. ისტორიული ზარალის კოეფიციენტები ასახავს მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ კლიენტების უნარზე დებიტორული დავალიანების გადახდის კუთხით. კომპანია აანალიზებს იმ ქვეყნების მაცრო-ფაქტორებს, სადაც ის ყიდის თავის საქონელს და მომსახურებას. კომპანიის მოვალეების ისტორიული ქცევიდან გამომდინარე, კომპანიამ გამოავლინა სავალუტო კურსი, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს დებიტორული დავალიანების ანაზღაურებაზე და შესაბამისად მოახდინა ისტორიული ზარალის განაკვეთების კორექტირება ამ ფაქტორის მოსალოდნელ ცვლილებებზე დაყრდნობით.

5. სახსრები ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში

გამოშვებულ იქნება გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მოგვიანებით და რომელიც კომპანიას ადრე არ მიუღია.

აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია ინვესტორსა და მის პარტნიორს და მასთან დაკავშირებულ ან ერთობლივი საწარმოს შორის - შესწორებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოიცა 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შედის სსსს-ს მიერ განსაზღვრული თარიღით ან მოგვიანებით დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ეს შესწორებები მიმართულია ფასს 10-ის და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამოების აღმოფხვრისკენ, ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვისას ან კონტრიბუციისას. შესწორების მთავარი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ სრული მოგების ან ზარალის აღიარება ხდება, როდესაც ოპერაციაში ჩართულია ბიზნესი. ნაწილობრივი ზარალი ან მოგება აღიარებულია, როცა ოპერაცია მოიცავს აქტივებს, რომლებიც არ წარმოადგენს ბიზნესს, მაშინაც კი, როდესაც მათი მფლობელი შეილობილი კომპანიაა. კომპანია მიმდინარე პერიოდში აფასებს შესწორებების გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ აგარისებებზე.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ის ცვლილებები და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 4-ის ცვლილება (გამოქვეყნებულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაში ყოველწლიური პერიოდების განმავლობაში, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ). ცვლილებები მოიცავს რიგ განმარტებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ის გამარტივებას, სტანდარტისა და გადასვლის ზოგი მოთხოვნის გამარტივებას. ცვლილებები ეხება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ის რვა სფეროს და ისინი მიზნად არ ისახავს სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შეცვლას. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები:

- ძალაში შესვლის თარიღი: ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების გათვალისწინებით) გადავადებულია ორი წლის ვადით წლიური ანგარიშგების პერიოდებამდე, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ; ხოლო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 4-ში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 9-ის გამოყენებისგან დროებითი გათავისუფლების ფიქსირებული ვადის ამოწურვის თარიღი ასევე გადაწეულია წლიური ანგარიშგების პერიოდებამდე, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ;
- დაზღვევის მოზიდვასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება: ორგანიზაციამ უნდა გამოყოფს დაზღვევის მოზიდვის ხარჯები კონტრაქტების მოსალოდნელ გაგრძელებასთან დაკავშირებით და ეს ხარჯები უნდა აღიაროს აქტივად მანამ, სანამ ორგანიზაცია აღიარებს კონტრაქტის გაგრძელებას. ორგანიზაციებმა უნდა შეაფასონ აქტივის ანაზღაურებადობა ყოველ ანგარიშგების თარიღს და აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია უნდა წარმოადგინონ ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნებში.
- საინვესტიციო მომსახურებასთან დაკავშირებული საკონტრაქტო მომსახურების მარჟა: უნდა განისაზღვროს დაფარვის ერთეულები, სადაზღვევო დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების ბენეფიტების რაოდენობისა და მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით, კონტრაქტებისთვის ცვალებადი საკომისიოს მიდგომის შესაბამისად და სხვა კონტრაქტებისთვის, „ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავლის მომსახურებით“, ზოგადი მოდელის შესაბამისად. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები შეტანილ უნდა იქნას ფულადი ნაკადების მოძრაობის სახით, სადაზღვევო კონტრაქტის ფარგლებში, იმდენად, რამდენადაც ორგანიზაცია ასრულებს ამგვარ საქმიანობას სადაზღვევო პოლისის მფლობელისთვის სადაზღვევო დაფარვიდან მიღებული ბენეფიტების გასაძლიერებლად.
